სამეცნიერო-პრაქტიკული ელექტრონული ჟურნალი

ბალანსებში

ნოემბერი №11

- ოფიციალური დოკუმენტები
- დაბეგვრის თეორია და მეთოდოლოგია
- დაბეგვრის პრაქტიკა
- ფინანსები, აღრიცხვა და აუდიტი
- ხელშეკრულებები საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში კომენტარებით
- კითხვა-პასუხები

2016

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფინანსური და საქართველოს ინფორმაციის ცენტრი

გთავაზობთ:

- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების სქემების დამუშავებას და ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვის აწყობას ახლადშექმნილ და მოქმედ კომპანიებში
- ბუღალტრული და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებას ხელშეკრულებით
- კომპანიის საქმიანობის ფინანსურ ანალიზს და ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების დაგეგმვას
- ექსპორტ-იმპორტის საგადასახადო კონცეფციის შემუშავებას

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

gamomcemeli: Sps `biznes inteleqti~
Publisher: Business Intellect Ltd.

UDC (uak) 336.2+336.14(051.2)
g-145

referirebadi da recenzirebadi samecniero-praqtikuli el.Jurnali
`gadasaxadebi~
registrirebulia #04-06/65, 10.08.2009 / **Registred** #04-06/65, 10.08.2009
Referred and reviewed scientific & practical e.magazine `Gadasakhadebi~

mTavari redaqtori:
daviT jalaRonia,
sruli profesori
Chief Editor:
David Jalaghonia, Full Professor

pasuxismgebeli mdivani
marine xubua, asocirebuli profesori
Executive Secretary:
Marine Khubua, Associated Professor

redaqtori: madona gelaSvili
asocirebuli profesori
Editor:
Madona Gelashvili, Associated Professor

teqnikuri redaqtori:
nazi gomelauri
Technical Editor: Nazi Gomelauri
koreqtori: rusiko papaskiri
asocirebuli profesori
Corrector:
Rusiko Papaskiri, Associated Professor

marketolog-konsultanti:
devi Sonia, asocirebuli profesori
Marketing Consultant:
Devi Shonia, Associated professora

iurist-konsultanti:
elgujaqavTaraZe, asocirebuli profesori
Legal Advisor:
Elguja Kavtaradze, Associated Professor

saredaqcio kolegia
EDITORIAL BOARD
Tavmjdomare: profesori daviT jalaRonia
ChairmanC: **professor David Jalagonia**

ekonomikur mecnierebaTa doqtorebi, profesorebi:
Doctors of Economics, Professors:

zaur amilaxvari	Zaur Amilakhvari
rezo gvelesiani	Rezo Gvelesiani
simon gelaSvili	Simon Gelashvili
irma dixaminjia	Irma Dikhaminjia
kaxaber eraZe	Kakhaber Eradze
SoTa veSapiZe	Shota Veshapidze
larisa TakalanZe	Larisa Takalandze
zurab lipartia	Zurab Lipartia
iakob mesxia	Iakob Meskhia
vladimer Rlonti	Vladimer Ghlonti
zaira RuduSauri	Zaira Gudushauri
Temur Sengelia	Temur Shengelia
mixeil CikviladZe	Mikheil Chikviladze
nodar xaduri	Nodar Khaduri
elene xarabaZe	Elene Kharabadze
rezo xarebava	Rezo Kharebava
nanuli ZimceiSvili	Nanuli Dzimceishvili

anJelika krutova - xarkovi, ukraina
Angelica Krutova - Kharkiv, Ukraine
kerimovi elsever nariman oRli - baqo, azerbaijani
Kerimov Elsever Nariman Ogli - Baku, Azerbaijan

el. Jurnali ,,gadasaxadebi~ registrirebulia
s.k. 404941300
E. Magazine "GADASAKHADEBI" (Taxes) is registered
ID code: 404941300

mimRebi: Sps 'biznes inteleqti~
mimRebis IBAN angariSis #GE30BR0000010679562042
mimRebis banki: s.s banki 'respublika~
bankis BIC kodi: REPLGE22

Beneficiary's name: **Business Intellect Ltd**
Beneficiary's IBAN NO: GE30BR0000010679562042 (USD)
Beneficiary Bank: BANK "REPUBLIC" TBILISI, GEORGIA
Corespondent acc. No: 00195464
SWIFT: REPL GE 22
T/Fax: 00995 32 2307851 , mob/Mob:00995 5 93 79 10 77

redaqciis azri SesaZloa ar emTxveodes avtorisas. statiaSi moyvanili faqtebisa da monacemebis sizusteze pasuxismgebelia avtori.

Author's opinion may differ from the one of the Editorial Board. Accuracy of the facts and data provided in the article is the responsibility of author

gamodis TveSierTxel, fasi 6 lari / MONTHLY MAGAZINE, PRICE: GEL 6 **ISSN 1987-9156**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

sarCevi / **Table of contents**

ekonomikuri qronika / **Economic chronicles** ---------- 5-9

auqcioni / **auction**----------10

oficialuri dokumentebi / **Formal documents**

oficialuri dokumentebi —----————————-————-------————-— 11-77

komentarebi/manualebi / **Comments/Manuals** ----------78-80

gadasaxadebi #11, 2016

GADASAKHADEBI #11, 2016

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ECONOMIC NEWS

საქართველოს აშშ-დან მცირე და საშუალო მეწარმეები ეწვევიან

2016-11-21

საქართველოს, მომავალ წელს, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, მცირე და საშუალო მეწარმეების ჯგუფი ეწვევა, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის, გიორგი კვირიკაშვილისა და ამერიკული საინვესტიციო კომპანია Schulze Global Investments-ის დამფუძნებლისა და გენერალური დირექტორის, გაბრიელ შულცის შეხვედრისას აღინიშნა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

Schulze Global Investments-ი, რომელიც მსოფლიოს უდიდეს ბაზრებზე, ასობით მილიონი დოლარის ოდენობის ინვესტიციას მართავს, საქართველოში მცირე და საშუალო ჰესების მშენებლობაში ინვესტირებით არის დაინტერესებული.

შეხვედრისას საუბარი საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობებს შეეხო. Schulze Global Investments-ის დამფუძნებლის შეფასებით, საქართველო ინვესტორებისთვის ძალიან საინტერესო ბაზარია და მას საკმაოდ დიდი პოტენციალი აქვს.

გაბრიელ შულცმა გიორგი კვირიკაშვილს საპარლამენტო არჩევნებში მმართველი გუნდის დამაჯერებელი გამარჯვება მიულოცა და საქართველოს მთავრობასთან ნაყოფიერი თანამშრომლობის იმედი გამოთქვა.

Schulze Global Investments-ი ამერიკული საინვესტიციო კომპანიაა, რომლის სათავო ოფისი სინგაპურში მდებარეობს. კომპანიას არსებობის 10-წლიანი ისტორია აქვს და მის კლიენტებს შორის არიან მსხვილი ინვესტორები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, ასევე - საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები და ფონდები. საქართველოში, Schulze Global Investments-ი 100 მილიონ აშშ დოლარიან Caucasus Clean Energy Fund-ს მართავს, რომელიც ფოკუსირებულია მცირე და საშუალო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაში ინვესტირებაზე.

პრემიერ-მინისტრის პრესსამსახური

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დიმიტრი ქუმსიშვილმა ბენტონიტური თიხის გადამამუშავებელი საწარმოს გახსნაში მონაწილეობა მიიღო

21 ნოემბერი, 2016

პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუში შპს „ასკანგელ ალიანსის“ ახალი საწარმოს გახსნის ცერემონიაში მიიღო მონაწილეობა. საწარმო პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გახსნა.

წარმოების მშენებლობა დაიწყო 2016 წლის 3 ივნისს და მიმდინარეობდა 5 თვის განმავლობაში. საწარმო აღჭურვილია გერმანული წარმოების, ამ დარგის ყველაზე თანამედროვე დანადგარებით. ამ ეტაპზე განხორციელდა 30 მლნ. ლარის ინვესტიცია. მშენებლობის პროცეში დასაქმდა 200 მდე ადამიანი. წარმოების პროცესში პირველ ეტაპზე დასაქმებულია 130 ადამიანი. სამომავლოდ იგეგმება ინვესტიციის გამხორციელება დამატებით 50 მლნ. აშშ დოლარამდე, ხოლო დასაქმებული მუშახელის რაოდენობა 300 მდე გაიზრდება.

პირველმა ვიცე-პრემიერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა მადლობა გადაუხადა ახალი საწარმოს ინვესტორს გოჩა ჩხაიძეს გაწეული საქმიანობის შესახებ და განაცხადა, რომ „ასკანგელ ალიანსი“ ბენტონიტური თიხების წარმოება-გადამუშავებაში დამატებითი ინვესტიციის განხორციელებას გეგმავს. დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, მნიშვნელოვანია, რომ საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის 95% საექსპორტოა. მისი თქმით, წლების განმავლობაში ბენტონიტური თიხების საბადოებს გურიაში სათანადო ყურადღება არ ექცეოდა, რის გამოც არ იყო გამოყენებული აღნიშნული პროდუქციის საექსპორტო პოტენციალი.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„ეს არის ყველაზე ხარისხიანი თიხები და გამოიყენება 1000-ზე მეტ პროდუქციაში“ - განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა. კერძოდ, ბენტონიტური თიხებიდან წარმოებული პროდუქცია გამოიყენება ლითონჩამომსხმელი წარმოებაში საყალიბედ, ნავთობმოპოვებაში, ღვინის წარმოებაში ფილტრაციისთვის, საღებავების წარმოებაში, ჰიდროენერგეტიკაში, კერამიკულ წარმოებაში, სამშენებლო ინუსტრიაში, ქაღალდის მრეწველობაში, ფარმაცევტიკაში, მედიცინაში, პარფიუმერიაში და სხვ.

გურიის მხარეში ვიზიტისას, დიმიტრი ქუმსიშვილმა ასევე მონაწილეობა მიიღო ჩოხატაურში ხელოვნების სასახლის გახსნაში. მისი მშენებლობა 2015 წელს რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხით განხორციელდა.

ფულადი გზავნილები ოქტომბერში

15.11.2016

2016 წლის ოქტომბერში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 102.5 მლნ აშშ დოლარი, ანუ 241.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც 14.0 პროცენტით (12.6 მლნ აშშ დოლარით) მეტია 2015 წლის ოქტომბრის ანალოგიურ მაჩვენებელზე.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 91.9 პროცენტი იმ 13 უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე მოდის, საიდანაც ასეთი გზავნილების მოცულობამ ოქტომბერში 1 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. იმავე 13 ქვეყანაზე გასული წლის ოქტომბერში მთელი ფულადი გზავნილების 91.2 პროცენტი მოდიოდა.

	ფულადი გზავნილების მოცულობა ოქტომბერი, 2016, მლნ აშშ დოლარი	ხვედრითი წილი ფულადი გზავნილების მთლიან მოცულობაში,%	
		ოქტომბერი, 2015	ოქტომბერი, 2016
სულ	102.5	100.0	100.0
ევროკავშირის ქვეყნები, სულ	31.9	30.4	31.2
მათ შორის:			
საბერძნეთი	11.3	8.8	11.0
იტალია	10.2	10.7	10.0
ესპანეთი	2.6	2.6	2.6
გერმანია	2.5	2.8	2.5
გაერთიანებული სამეფო	1.5	1.5	1.5
საფრანგეთი	1.1	1.2	1.0
დანარჩენი ქვეყნები, სულ	70.6	69.6	68.8
მათ შორის:			
რუსეთი	34.6	40.0	33.8
აშშ	11.6	9.7	11.3
თურქეთი	8.7	5.6	8.5
ისრაელი	5.6	3.4	5.5
უკრაინა	2.0	2.1	2.0
აზერბაიჯანი	1.2	1.5	1.2
ყაზახეთი	1.1	1.3	1.1

2016 წლის ოქტომბერში საქართველოდან საზღვარგარეთ 17.8 მლნ აშშ დოლარი (42.0 მლნ ლარი) გადაიგზავნა, ნაცვლად 15.1 მლნ აშშ დოლარისა (36.1 მლნ ლარისა) გასული წლის ოქტომბერში.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონის შედეგი

22.11.2016

2016 წლის 22 ნოემბერს, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონზე გაიყიდა 7 520 000 ლარის ნომინალური ღირებულების 10-წლიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები.

აუქციონში მონაწილეობა მიიღო ერთმა კომერციულმა ბანკმა. მოთხოვნამ შეადგინა 7 520 000 ლარი. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 10.750 პროცენტით, მაქსიმალური 10.750 პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი - 10.750 პროცენტითგანისაზღვრა.

კუპონური განაკვეთი 10.500 პროცენტს შეადგენდა. კუპონის გადახდა მოხდება წელიწადში ორჯერ, ყოველ ექვს თვეში.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №473

2016 წლის 19 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 22/02/2013, 470230000.10.003.017200) შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-4 მუხლის „თ[1]“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ[1]) საქართველოს შინაგან საქმეთა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროებისა და მათი სტრუქტურული ერთეულებისათვის, ასევე საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისათვის პროგრამული მომსახურების მიწოდების ვალდებულება შეწყდება 2017 წლის 1 იანვრიდან, ხოლო 2017 წლის 1 იანვრამდე დაუშვებელია ორმაგი საბიუჯეტო დანახარჯების გაწევა ამ დადგენილებით დამტკიცებული პროგრამით გათვალისწინებულ ისეთ პირობებზე, რომელიც უპირატესად ფინანსდება ამ ორგანიზაციასა და კერძო სადაზღვევო კომპანიას შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, დადგენილების №1 დანართის მე-2 მუხლის პირობების გათვალისწინებით;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №474

2016 წლის 19 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში (სსმ, III ნაწილი, 2009 წელი, მუხლი 430) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 71-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) ხაზობრივი ნაგებობები – II კატეგორიის (ქალაქის ქუჩის ქსელი) წყალსადენი, II კატეგორიის წყალარინების მილი, III კატეგორიის სამელიორაციო და საირიგაციო ნაგებობა, III კატეგორიის საავტომობილო გზა, II კატეგორიის ქუჩა, II კატეგორიის გაზსადენი, რომელიც განკუთვნილია მომხმარებლის გაზმომარაგებისთვის, წარმადობით 500 $მ^3$/სთ -მდე;“.

2. 71-ე მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „კ“ ქვეპუნქტი:

„კ) მაგისტრალური გაზსადენის გაზგამანაწილებელი სადგური, წარმადობით 500 $მ^3$/სთ-მდე.“.

3. 75-ე მუხლის მე-2 პუნქტის:

ა) „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) ხაზობრივი ნაგებობები – II კატეგორიის ნავთობსადენი, II კატეგორიის გაზსადენი, რომელიც განკუთვნილია მომხმარებლის გაზმომარაგებისთვის, 500 $მ^3$/სთ და ზევით წარმადობით, III კატეგორიის ელექტროგადამცემი ხაზი, II კატეგორიის სამელიორაციო და საირიგაციო ნაგებობა, II კატეგორიის რკინიგზა, II კატეგორიის საავტომობილო გზა, I კატეგორიის ქუჩა;“;

ბ) „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) ბუნებრივი ან/და გათხევადებული ნახშირწყალბადიანი გაზგასამართი სადგურები (გარდა მოძრავი სადგურისა);

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ლ) მაგისტრალური გაზსადენის გაზგამანაწილებელი სადგური, წარმადობით 500 $მ^3$/სთ-დან 3000 $მ^3$/სთ-მდე.“.

4. 79-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.ე) ჰაერის დაყოფის პროდუქტების (ჟანგბადი, აზოტი, არგონი, კრიპტონი, ქსენონი და ნეონჰელიუმის ნარევი) მწარმოებელი საწარმოები;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №477

2016 წლის 27 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებაში (სსმ, №94, 12/08/2005) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის 23-ე პუნქტი ჩამოყალიდეს შემდეგი რედაქციით:

„23. დაუშვებელია ლიცენზიის გაცემა ინერტული მასალის მოპოვების მიზნით, შავ ზღვაში ჩამდინარე მდინარეთა (გარდა მდინარე რიონის ძირითადი კალაპოტისა და მისი შენაკადებისა) ჭალა-კალაპოტებიდან და ჭალისზედა პირველი ტერასებიდან, შავი ზღვის შესართავიდან 20 კილომეტრის მანძილზე პირდაპირი ხაზით. მითითებულ დიაპაზონში ინერტული მასალის მოპოვება ნებადართულია ამ დებულების 7^4 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აგრეთვე იმ შემთხვევებში, თუ მოპოვება წარმოებს ჭარბი აკუმულაციის უბნებიდან შავი ზღვის ნაპირების (პლაჟების) აღდგენის მიზნით.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №480

2016 წლის 27 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის №102 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის №102 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge; 01/03/2016; 280120000.10.003.019166) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. **დადგენილებით დამტკიცებული №1 დანართის (სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2016 წლის სახელმწიფო პროგრამა):**

ა) მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 პუნქტი:

„8. „ბავშვთა რეაბილიტაციის/აბილიტაციის ქვეპროგრამისა“ და „მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა სპეციალიზებული საოჯახო ტიპის მომსახურების ქვეპროგრამის“ ფარგლებში, 2016 წლის დეკემბერში გაწეული მომსახურების ანაზღაურება განხორციელდეს მიმწოდებლის მიერ იმავე წლის 25 დეკემბრამდე წარდგენილი დეკემბრის თვეში უკვე გაწეული მომსახურების ანგარიშისა და თვის ბოლომდე დაგეგმილი გასაწევი მომსახურების განაცხადის მიხედვით. ამასთან, თუ 2017 წლის იანვარში მიმწოდებლის მიერ წარსადგენი დაზუსტებული ანგარიშით მიმწოდებელს მიღებული აქვს ზედმეტი თანხები, მაშინ ეს თანხები სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნებას ექვემდებარება არაუგვიანეს 2017 წლის 31 იანვრისა.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ) მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. პროგრამის მოსარგებლეები

1. ამ დადგენილებით დამტკიცებული ქვეპროგრამების მოსარგებლეები არიან საქართველოს მოქალაქეები, თუ ცალკეული ქვეპროგრამით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. ქვეპროგრამების მიზნებისათვის საქართველოს მოქალაქეში იგულისხმება საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის (მათ შორის, 18 წლამდე ასაკის ბავშვების შემთხვევაში – პირადი ნომერი ან დაბადების მოწმობა), დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობის მქონე მიუსაფარი ბავშვები, პირადობის ნეიტრალური მოწმობის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირები, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები, საქართველოში თავშესაფრის მაძიებელი პირები, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები.

3. სამინისტრო უფლებამოსილია, ქვეპროგრამებით გათვალისწინებული მომსახურებების ხარისხის მონიტორინგის მიზნით, სააგენტოდან გამოითხოვოს, მიიღოს და დაამუშაოს პროგრამის ბენეფიციართა პერსონალური მონაცემები. სააგენტო ვალდებულია, სამინისტროს მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია. ამასთან, სამინისტრო ვალდებულია, არ გაამჟღავნოს ფიზიკური პირის შესახებ მათთან დაცული პერსონალური მონაცემები, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.“.

2. **დადგენილების №1.2 დანართის (ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა)** :

ა) **მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„1. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს განეკუთვნებიან დაბადებიდან შვიდ წლამდე ასაკის ბავშვები (შვიდი წლის შესრულების თვის ჩათვლით), რომლებსაც აქვთ ბავშვთა პედიატრის/ოჯახის ექიმის, ნევროლოგის ან სხვა ექიმ-სპეციალისტის მიერ გამოვლენილი განვითარების ეტაპების დაყოვნება (მსხვილი და ნატიფი მოტორიკის, კომუნიკაციისა და მეტყველების, სოციალურ-ემოციური და კოგნიტური სფეროების განვითარებისა და ადაპტური ქცევის პრობლემა), შეზღუდული შესაძლებლობა ან ამ მხრივ რისკი, რაც დადასტურებულია ამ პროგრამის №2 დანართში მოცემული ICD-10-ის დიაგნოზებით. ერთი თვის განმავლობაში ფინანსდება არაუმეტეს 5040 ვიზიტი, მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ლიმიტების შესაბამისად.“;

ბ) **მე-4 მუხლის** :

ბ.ა) **პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„1. ქვეპროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 878 000 ლარით.“;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ.ბ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. ვაუჩერის ერთი თვის ტალონი ანაზღაურდება ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, თვეში განხორციელებული მომსახურების (ვიზიტის) შესაბამისად, ამ დანართის მე-2 მუხლით განსაზღვრული პირობის გათვალისწინებით. ამასთან, ერთი მომსახურების (ვიზიტის) ღირებულებაა 18,5 ლარი.“.

3. დადგენილების №1.3 დანართის (ბავშვთა რეაბილიტაციის/ აბილიტაციის ქვეპროგრამა) მე-4 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქვეპროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 1 939 000 ლარით.“;

ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. წლის განმავლობაში ფინანსდება 6250 კურსი, ამასთან, ერთ ბენეფიციარზე არაუმეტეს 7 კურსისა. ამ მუხლით გათვალისწინებული პირობები ვრცელდება 2016 წლის 1 იანვრიდან მომსახურებაში ჩართულ ბენეფიციარებზე, რომელთაც 2016 წელს ამ პროგრამის ამოქმედებამდე მიღებული მომსახურების/ვაუჩერის რაოდენობა ჩაეთვლებათ ამ პუნქტით განსაზღვრულ ლიმიტში.“.

4. დადგენილების №1.5 დანართის (დღის ცენტრების ქვეპროგრამა):

ა) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) 6-დან 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები, რომელთა ოჯახებიც იღებენ რეინტეგრაციის შემწეობას ან იმყოფებიან მინდობით აღზრდაში. ერთდროულად ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული ბენეფიციარების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 772-ს;

გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. ერთდროულად ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული ბენეფიციარების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 517-ს;“;

ბ) მე-4 მუხლის:

ბ.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქვეპროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 3 110 000 ლარით.“;

ბ.ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

„5. ვაუჩერის გაცემა წარმოებს არაუმეტეს ჩამოთვლილ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში სამიზნე ჯგუფების მიხედვით დაწესებული, ერთდროულად მოქმედი ვაუჩერების შემდეგი ლიმიტებისა, რომელთა ცენტრალიზებულ კოორდინაციას ახორციელებს სააგენტო. ამასთან, ვაუჩერი მოქმედებს მხოლოდ იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, რომელზედაც იქნა გაცემული იგი.

№	ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული	ამ დანართის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირები	ამ დანართის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირები	ამ დანართის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირები	ამ დანართის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირები
1	ქ. თბილისი	238	180	300	50
2	ქ. ქუთაისი	50	61	66	16
3	ქ. რუსთავი	29	14	38	
4	ქ. ბათუმი	-	45		
5	გორის მუნიციპალიტეტი	60	30	15	
6	ქარელის მუნიციპალიტეტი	-	15		
7	თერჯოლის მუნიციპალიტეტი	-	25		
8	სამტრედიის მუნიციპალიტეტი		15		
9	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	-	40		
10	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	30	25		
11	თელავის მუნიციპალიტეტი	-	20	35	
12	გურჯაანის მუნიციპალიტეტი	-		33	
13	ქ. ფოთი	-	25		
14	ქ. ზუგდიდი	20	14		
15	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	-	20		
16	მცხეთის მუნიციპალიტეტი	-	55	10	
17	თიანეთის მუნიციპალიტეტი	30	-		

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

18	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	24	-		
19	ჭიათურის მუნიციპალიტეტი	45	-		
20	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	24	-		
21	ასპინძის მუნიციპალიტეტი	10			
22	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი		20		
23	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი		15		
24	საჩხერის მუნიციპალიტეტი		19		
25	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი		15		
26	ტყიბულის მუნიციპალიტეტი				
27	ქობულეთის მუნიციპალიტეტი				
28	ქ. წნორი		19		
29	ბორჯომის მუნიციპალიტეტი		40		
30	კასპის მუნიციპალიტეტი		20		
31	სენაკის მუნიციპალიტეტი		15	20	
32	ბაღდათის მუნიციპალიტეტი		15		
33	ვანის მუნიციპალიტეტი		10		
	სულ ბენეფიციარი	560	772	517	66.

5. **დადგენილების №1.6.1 დანართის (სავარძელეტლებით უზრუნველყოფისა და შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის კომპონენტი) მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. კომპონენტის ბიუჯეტი განისაზღვრება 562 200 ლარით, მათ შორის, ელექტროსავარძელეტლებისთვის – 226 200 ლარი.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

6. **დადგენილების №1.6.2 დანართის (საპროთეზო-ორთოპედიული საშუალებებით უზრუნველყოფის კომპონენტი) მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. კომპონენტის ბიუჯეტი განისაზღვრება 1 727 900 ლარით.“.

7. **დადგენილების №1.6.4 დანართის (კოხლეარული იმპლანტით უზრუნველყოფის კომპონენტი):**

ა) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) 38 კოხლეარული იმპლანტის შეძენას;“;

ბ) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) შესაბამისი საჭიროების მქონე 6 წლამდე ასაკის ბავშვები;“;

გ) მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქვეპროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 1 462 000 ლარით.“.

8. **დადგენილების №1.6.5 დანართის (ყავარჯნებით, ხელჯოხ-ყავარჯნებით, უსინათლოთა ხელჯოხებითა და გადასაადგილებელი ჩარჩოებით უზრუნველყოფის კომპონენტი):**

ა) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. კომპონენტის ღონისძიებები

კომპონენტის ღონისძიებებში შედის:

ა) არანაკლებ 15 ცალი უსინათლოთა (თეთრი) ხელჯოხის შეძენა და გაცემა;

ბ) წინა წლებში კომპონენტის ფარგლებში შესყიდული დამხმარე საშუალებების გაცემა.“;

ბ) მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კომპონენტის ბიუჯეტი განისაზღვრება 1000 ლარით.“.

9. **დადგენილების №1.8 დანართის (დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა) მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. კომპონენტის ბიუჯეტი განისაზღვრება 370 000 ლარით.“.

10. **დადგენილების №1.9 დანართის (მინდობით აღზრდის ქვეპროგრამა) მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. კომპონენტის ბიუჯეტი განისაზღვრება 6 765 000 ლარით.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

11. **დადგენილების №1.10 დანართის (მცირე საოჯახო ტიპის სახლების ქვეპროგრამა) მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. კომპონენტის ბიუჯეტი განისაზღვრება 2 090 000 ლარით.“.

12. **დადგენილების №1.11 დანართის (მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა) მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. კომპონენტის ბიუჯეტი განისაზღვრება 655 000 ლარით.“.

13. **დადგენილების №1.12 დანართის (სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამა) მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. ქვეპროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 1 045 000 ლარით.“.

14. **დადგენილების №1.13 დანართის (მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის ქვეპროგრამა) მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. ქვეპროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 119 000 ლარით.“.

15. **დადგენილების №1.14 დანართის (მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა სპეციალიზებული საოჯახო ტიპის მომსახურების ქვეპროგრამა) მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. ქვეპროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 9 100 ლარით.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №481

2016 წლის 27 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„ტექნიკური რეგლამენტის – „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტექნიკური რეგლამენტის – „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 15/01/2014, 300160070.10.003.017674) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის – სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) შესრულებული სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ერთეულის ფასების ფარგლებში, ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით. ამასთან, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, კონკრეტული ხელშეკრულებისათვის/შესყიდვისათვის დადგენილი გამონაკლისების შემთხვევაში, როდესაც მიმწოდებელი გათავისუფლებულია ხარჯთაღრიცხვის წარდგენის ვალდებულებისაგან, შესრულებული სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით. ზედნადები ხარჯები და გეგმური მოგება ქვეკონტრაქტორის მიერ შესრულებულ სამუშაოებს (პირდაპირ დანახარჯებს) უნდა დაერიცხოს მიმწოდებელსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცენტის ფარგლებში, პირველი და მე-2 პუნქტების გათვალისწინებით;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2016 წლის 16 სექტემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №483

2016 წლის 27 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 03/06/2014, 240140000.10.003.017985) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მე-7 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-15 პუნქტი:

„15. პროგრამის ბენეფიციარის მიერ პროგრამის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების, მათ შორის, საინვესტიციო ვალდებულებების შესრულებისას დაუშვებელია „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრული სახელმწიფო ორგანოს მიერ ან/და ამავე ან სხვა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი გრანტის გამოყენება.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №492

2016 წლის 3 ნოემბერი, ქ. თბილისი

„მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემის ფორმირების და ადმინისტრირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 ივლისის №352 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემის ფორმირების და ადმინისტრირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 ივლისის №352 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 17/07/2015, 010140010.10.003.018737) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4

1. ამ წესის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ მონაცემებს სააგენტოს წარუდგენენ:

ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი –საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;

გ) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;

დ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო;

ე) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური;

ვ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

ზ) დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;

თ) საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური;

ი) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

კ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა.

2. მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემა მოიცავს ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ორგანოების მიერ სააგენტოსთვის წარდგენილ, ასევე სააგენტოს ხელთ არსებულ ამ წესის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ მონაცემებს.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №493

2016 წლის 3 ნოემბერი, ქ. თბილისი

„მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 ნოემბრის №359 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 ივლისის №320 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 ნოემბრის №359 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 ივლისის №320 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 14/07/2016, 470030000.10.003.019385) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 მუხლი:

„**მუხლი** 1^1. მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის მიმწოდებლებმა, რომლებიც ახორციელებენ ლაბორატორიულ სერვისს, უზრუნველყონ ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობა და აღნიშნული საქმიანობის თაობაზე შეტყობინების გაგზავნა სსიპ – სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოსათვის 2017 წლის პირველ მაისამდე.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №494

2016 წლის 3 ნოემბერი, ქ. თბილისი

„სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის №385 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 ივლისის №322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის №385 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 ივლისის №322 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 14/07/2016, 470230000.10.003.019387) შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი** 2. სტაციონარული ნებართვის მქონე დაწესებულებებმა, რომლებიც ახორციელებენ ლაბორატორიულ სერვისს, უზრუნველყონ ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობა და სათანადო სანებართვო დანართ(ებ)ის მოპოვება 2017 წლის პირველ მაისამდე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №495

2016 წლის 3 ნოემბერი, ქ. თბილისი

„დანერგე მომავალი“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 თებერვლის №56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „დანერგე მომავალი“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 თებერვლის №56 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 16/02/2015, 340170000.10.003.018441) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალი“:

1. **მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

„ბ) ბენეფიციარი უნდა ფლობდეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ერთი საკადასტრო კოდით მის საკუთრებად რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს ან/და მას მიღებული უნდა ჰქონდეს სახელმწიფოსაგან გრძელვადიანი იჯარით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (იჯარის დარჩენილი პერიოდი უნდა შეადგენდეს მინიმუმ 10 წელს, იჯარის ხელშეკრულება უნდა იყოს რეგისტრირებული სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში). ამასთან, შესაძლებელია, მიწის ნაკვეთები (ბენეფიციარის საკუთრებაში არსებული ან/და სახელმწიფოსგან გრძელვადიანი იჯარით აღებული) იყოს სხვადასხვა საკადასტრო კოდით, თუ ვერ ხერხდება მათი გაერთიანება გეოგრაფიული მდებარეობის ან/და სხვა ფაქტორის გამო და მათზე მოეწყობა ერთიანი სარწყავი სისტემა. ერთიანი სარწყავი სისტემა უნდა ემსახურებოდეს ერთ ან რამდენიმე მიწის ნაკვეთზე გაშენებულ მრავალწლოვან ბაღს და მისი კომპლექტაცია უნდა შედგებოდეს ერთი ტუმბოსა და წყლის დაგროვების ერთი ავზისგან.“.

2. **დანართი №1 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით**.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი №1

მრავალწლოვანი კულტურების ნუსხა რეგიონების მიხედვით

რეგიონი	მრავალწლოვანი კულტურები				
	კურკოვანი	კენკროვნები	სუბტროპიკული	კაკლოვანი	თესლოვანი
კახეთი	ატამი, ქლიავი, ტყემალი ბალი, ზეთის ხილი ალუბალი გარგარი	ჟოლო მაყვალი	ხურმა, ბროწეული კივი	კაკალი, ნუში (ორივე გვიანმოყვავილე), თხილი	ვაშლი, მსხალი, კომში
შიდა ქართლი	ატამი, ქლიავი, ტყემალი, ბალი გარგარი შინდი ალუბალი	მოცხარი, ხურტკმელი, ჟოლო, მაყვალი	-	კაკალი ნუში	ვაშლი, მსხალი, კომში
ქვემო ქართლი	ატამი, ქლიავი, ტყემალი, ბალი, გარგარი ალუბალი	მოცხარი, ხურტკმელი, ჟოლო, მაყვალი	ხურმა, ბროწეული	კაკალი, ნუში (ორივე გვიანმოყვავილე)	მსხალი, ვაშლი, კომში
მცხეთა-მთიანეთი	ატამი, ქლიავი, ტყემალი, ბალი ალუბალი	მოცხარი, ხურტკმელი, ჟოლო, მაყვალი	-	კაკალი ნუში	ვაშლი, მსხალი, კომში
სამცხე-ჯავახეთი	ატამი, ქლიავი, ტყემალი, ბალი ალუბალი	მოცხარი, ხურტკმელი, ჟოლო, მაყვალი	-	კაკალი	ვაშლი, მსხალი, კომში
იმერეთი	ქლიავი, ტყემალი ბალი ალუბალი	მოცხარი, ხურტკმელი, ჟოლო ლურჯი მოცვი მაყვალი	ხურმა	კაკალი, თხილი	ვაშლი მსხალი
რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	ქლიავი, ტყემალი, ბალი ალუბალი	მაყვალი, ჟოლო	ხურმა	კაკალი, თხილი	ვაშლი, მსხალი, კომში

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

სამეგრელო - ზემო სვანეთი	ქლიავი, ტყემალი ალუბალი ბალი	ლურჯი მოცვი, მაყვალი, ჟოლო	ხურმა, კივი, ფეიხოა მანდარინი ფორთოხალი ლიმონი	თხილი კაკალი	მსხალი ვაშლი
გურია	ქლიავი, ტყემალი, ბალი ალუბალი	ლურჯი მოცვი მაყვალი ჟოლო	ხურმა, კივი, ფეიხოა მანდარინი ფორთოხალი ლიმონი	თხილი	ვაშლი მსხალი
აჭარა	ქლიავი, ტყემალი, ბალი ალუბალი	ლურჯი მოცვი, მაყვალი, ჟოლო	ხურმა, კივი, ფეიხოა მანდარინი ფორთოხალი ლიმონი	თხილი კაკალი	ვაშლი მსხალი

საქართველოს მთავრობის

განკარგულება №2271

2016 წლის 27 ოქტომბერი, ქ. თბილისი

სასარგებლო წიაღისეულის (მიწისქვეშა მტკნარი წყალი) მოპოვების ლიცენზიის გაცემისათვის აუქციონის საწყისი ფასის დადგენის შესახებ

„სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი მუღანლოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ჭაბურღილებიდან და წყალშემკრებებიდან (21 უბანი) მიწისქვეშა მტკნარი წყლის (კომუნალური დ სოფლის წყალსადენებისათვის) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემისათვის აუქციონის საწყისი ფასი განისაზღვროს 130 000 (ას ოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით.

პრემიერ-მინისტრი
გიორგი კვირიკაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №271

2016 წლის 28 ოქტომბერი, ქ. თბილისი

,,მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით (სსმ III, 31.12.2010, №172, მუხლი 2552) დამტკიცებული წესის 23^2 მუხლის:

1. **პირველი პუნქტის ,,ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

,,ზ) ავტომატური ბლოკირების შესაძლებლობა (გარდა ტექნიკური საშუალებისა) გაუმართაობის, ფისკალური მეხსიერების გამორთვის ან ფისკალურ მეხსიერებასთან არასანქცირებული შეღწევის მცდელობის შემთხვევაში ;“.

2. **მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**:

,,5. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ - „ლ“ ქვეპუნქტებით დადგენილ მოთხოვნებთან სსა-ის შესაბამისობას განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო (ამ თავის მიზნებისთვის შემდგომში – სააგენტო) ან დადგენილი წესით აკრედიტებული პირი.“.

3. **მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს 5^1 პუნქტი შემდეგი რედაქციით**:

,,5^1. ამ მუხლის პირველი პუნქტის „მ“ - „პ“ ქვეპუნქტებით დადგენილ მოთხოვნებთან სსა-ის, ხოლო, ამავე პუნქტის ,,ა“ - ,,დ“, ,,ვ“, ,,ი“ და ,,ლ“ - ,,პ“ ქვეპუნქტებით დადგენილ მოთხოვნებთან ტექნიკური საშუალების შესაბამისობას განსაზღვრავს შემოსავლების სამსახური.“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №273

2016 წლის 4 ნოემბერი, ქ. თბილისი

„სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №424 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №424 ბრძანებით (ვებგვერდი, 31.12.2014 წ., სარეგისტრაციო კოდი: 200250000.22.033.016708) დამტკიცებულ „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-5 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-7 მუხლის მე-9 ნაწილით განსაზღვრული საბანკო გარანტიების ამოქმედების შედეგად, აგრეთვე სხვა მესამე პირის მიერ წარდგენილი მოთხოვნის შესაბამისად, კომერციულ ბანკებში მიმდინარე ან/და სადეპოზიტო ანგარიშებიდან იძულებით თანხების ჩამოჭრის თითოეული ოპერაციის შესახებ ხაზინას ორგანიზაცია დაუყოვნებლივ აცნობებს წერილობით, რომელსაც თან დაერთვის ჩამოჭრილ თანხებზე საბანკო ამონაწერის ასლი. ორგანიზაცია, კომერციულ ბანკში ჩამოჭრილი თანხის აღდგენის მიზნით, ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, ხაზინაში წარადგენს საგადახდო დოკუმენტაციას. ორგანიზაციის საგადახდო მოთხოვნის დამუშავების შემდეგ, თანხა ჩაირიცხება ხაზინის ერთიანი ანგარიშის შესაბამისი ბიუჯეტის სახაზინო კოდზე 9800 - „კომერციული ბანკების მიმდინარე/სადეპოზიტო ანგარიშზე თანხების გადატანა/ დაბრუნება“. ორგანიზაცია საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს სათანადო ასიგნებას“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2016 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ

სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №274

2016 წლის 4 ნოემბერი, ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში (სსმ III, 29.11.2007წ., №169, მუხლი1871) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული:

1. დანართ №2-ში სახაზინო კოდის - 1359 - ა(ა)იპ „ქალაქ ახალციხის ტბა“ შემდეგ დამატებულ იქნეს შემდეგი შინაარსის სახაზინო კოდები:

1360	5000	ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გიორგი ალექსიძის სახელობის კამერული დასი - თბილისის თანამედროვე ბალეტი“
1361	5001	ა(ა)იპ „ხელვაჩაურის სასაფლაოები“

2. დანართ №3-ში:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) ამოღებულ იქნეს შემდეგი ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდი:

მოსაკრებელი შეზღუდულად ბრუნვადი მასალების წარმოების, ტრანსპორტირების, იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვაზე	3082

ბ) სახაზინო კოდის – 3100 – „მოსაკრებელი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების, არქეოლოგიური სამუშაოებისა და საქართველოს კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანის ნებართვაზე“ სახაზინო კოდის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის სახაზინო კოდები:

მოსაკრებელი ნარჩენების იმპორტის, ექსპორტის, და ტრანზიტის ნებართვაზე	*3101*
მოსაკრებელი ოზონდამშლელი ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვაზე	*3102*

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-3 დღეს.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №151/ნ

2016 წლის 11 ნოემბერი, ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების/განხორციელებული საქმიანობის საფასურის დადგენის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლისა და „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ჰ[8]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 1

დადგინდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების/განხორციელებული საქმიანობის საფასური ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების მინისტრი

ალექსანდრე ჯეჯელავა

დანართი

მომსახურება/საქმიანობა	**დასახელება**	**ღირებულება**
კონფერენცია (რეგისტრაციის საფასური)	საქართველოს საგანმანათლებლო ტექნოლოგიების კონფერენცია	20 (ოცი) ლარი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №142/ნ

2016 წლის 26 ოქტომბერი, ქ. თბილისი

მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლისა და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ნ[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

დამტკიცდეს მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის გაცემის წესი ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების მინისტრი

ალექსანდრე ჯეჯელავა

დანართი

მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის გაცემის წესი

მუხლი 1. **ზოგადი დებულებანი**

მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის გაცემის წესი (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის გაცემის წესსა და მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის მონაცემებს.

მუხლი 2. **მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი**

მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი შედგება სერტიფიკატისა და სერტიფიკატის დანართისგან.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 3. მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის გაცემაზე უფლებამოსილი დაწესებულება

მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის გაცემაზე უფლებამოსილია ის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (შემდგომში – დაწესებულება), რომელშიც დაასრულა პირმა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, ან მისი უფლებამონაცვლე.

მუხლი 4. მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის მიღებაზე უფლებამოსილი პირი

მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის მიღების უფლება აქვს პირს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაირიცხება და დაასრულებს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას.

მუხლი 5. სერტიფიკატის მონაცემები

1. სერტიფიკატი არის მკაცრი აღრიცხვის ფორმა, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ დამცავ ნიშნებს:

ა) მთელი ზედაპირი დაფარული უნდა იყოს დამცავი (გილოშერული) ბადით, ბადეების სამი სახის ერთდროული გამოყენებით;

ბ) ულტრაიისფერი სხივების ქვეშ სერტიფიკატის სახიან მხარეზე დასმული ნიშანი (ლოგო/გერბი), სერტიფიკატის სერიისა და ინდივიდუალური ნომრის გამოსახულება უნდა გამოსცემდეს ლუმინესცენციას.

2. სერტიფიკატის ფორმაზე პოლიგრაფიული წესით აღნიშნული უნდა იყოს:

ა) დამამზადებელი პოლიგრაფიული საწარმოს და დამკვეთის სახელწოდება ინიციალებით;

ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული რეგისტრაციის ნომერი, სერტიფიკატის სერია (ლათინური ასოებით) და ექვსნიშნა ინდივიდუალური ნომერი (თანმიმდევრული არაბული ციფრებით);

გ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინიციალები – „სფს''.

3. სერტიფიკატი შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და, დაწესებულების გადაწყვეტილებით, რომელიმე უცხოურ ენაზე/ენებზე.

4. სერტიფიკატის სხვადასხვა ენაზე შედგენის მიუხედავად, გამოიყენება ხელმოწერაზე პასუხისმგებელი პირის ავთენტიკური ხელმოწერა.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

5. სერტიფიკატზე უნდა მიეთითოს:

ა) წარწერა „საქართველო“, რომელიც უნდა განთავსდეს სერტიფიკატის ზედა ცენტრალურ ადგილზე;

ბ) დაწესებულების სრული სახელწოდება (სამართლებრივი ფორმის მითითებით);

გ) დაწესებულების ლოგო/გერბი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) „მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი“;

ე) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სერტიფიკატის სერია (ლათინური ასოებით) და ექვსნიშნა ინდივიდუალური ნომერი (თანმიმდევრული არაბული ციფრებით);

ვ) პირის მიერ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების ნომერი, თარიღი (რიცხვი, თვე, წელი), აგრეთვე, ინფორმაცია გადაწყვეტილების მიმღების თაობაზე;

ზ) იმ პირის სახელი და გვარი, რომელმაც დაასრულა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;

თ) მითითება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შესახებ და კრედიტების რაოდენობა, ასევე მიმართულება/საგანი/საგნობრივი ჯგუფი (ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის/საფეხურების მითითებით);

ი) დაწესებულების ხელმძღვანელის სახელი და გვარი (სრულად), ხელმოწერა, ასევე ამ პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიმღების სახელი, გვარი და ხელმოწერა, იმ შემთხვევაში, თუ იგი არ წარმოადგენს დაწესებულების ხელმძღვანელს;

კ) ადგილი, სადაც გაიცა სერტიფიკატი;

ლ) სერტიფიკატის გაცემის თარიღი (რიცხვი, თვე, წელი);

მ) დაწესებულების ბეჭედი (კერძო სამართლის იურიდიული პირის – დაწესებულების შემთხვევაში – ნებაყოფლობით);

ნ) მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატებისა და დუბლიკატების ერთიან რეესტრში სერტიფიკატის სარეგისტრაციო ნომერი.

6. სერტიფიკატი ამ მუხლით დადგენილი მონაცემების გარდა შესაძლებელია შეიცავდეს დაწესებულების მიერ განსაზღვრულ სხვა ინფორმაციას/რეკვიზიტს/მონაცემს, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

7. ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემი წარმოადგენს დაწესებულების სახელწოდებას სერტიფიკატის გაცემის მომენტში.

მუხლი 6. სერტიფიკატის დუბლიკატი

1. სერტიფიკატის დუბლიკატი (შემდგომში – დუბლიკატი) გაიცემა იმ პირზე, რომლის სერტიფიკატი აღარ არსებობს ან გახდა გამოსაყენებლად უვარგისი.

2. დუბლიკატის გაცემაზე უფლებამოსილია ამ წესის მე-3 მუხლით გათვალისწინებული დაწესებულება.

3. დუბლიკატის შედგენისას ივსება დაწესებულების მიერ დამტკიცებული შესაბამისი სერტიფიკატის ფორმა, რომელსაც დაესმება შტამპი აღნიშვნით „დუბლიკატი“. შტამპი „დუბლიკატი“ დაისმის როგორც ქართულ, ასევე იმ უცხოურ ენაზე, რომელ ენაზეც ივსება დაწესებულების მიერ დამტკიცებული შესაბამისი სერტიფიკატის ფორმა.

4. თუ კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით არ დგინდება სერტიფიკატის ფორმისათვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შესაბამისი სრული ინფორმაცია, დუბლიკატის გაცემაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია დუბლიკატში ასახოს მხოლოდ ის ინფორმაცია, რომლის დადასტურებაც შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. დუბლიკატის რეგისტრაცია ხდება მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატებისა და დუბლიკატების ერთიან რეესტრში.

მუხლი 7. სერტიფიკატის ფორმის, გაცემული სერტიფიკატისა და დუბლიკატის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

1. დაწესებულება ვალდებულია სერტიფიკატის დამტკიცებული ფორმა გამოაქვეყნოს საკუთარ ოფიციალურ ვებგვერდზე და ატვირთოს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში (შემდგომში – რეესტრი). დაწესებულება ვალდებულია სერტიფიკატის დამტკიცებული ფორმის ერთი ეგზემპლარი წარადგინოს სსიპ –განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

2. დაწესებულება ვალდებულია სერტიფიკატის/დუბლიკატის შევსებიდან 10 დღის ვადაში რეესტრში ატვირთოს სერტიფიკატის/დუბლიკატის ელექტრონული ასლი, აგრეთვე ასახოს შემდეგი მონაცემები: სერტიფიკატის/დუბლიკატისათვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული რეგისტრაციის ნომერი, სერია, ინდივიდუალური ნომერი. დაწესებულება ვალდებულია, აგრეთვე, აღნიშნულ ინფორმაციაში ცვლილების შეტანისას რეესტრში ასახოს შესაბამისი ცვლილება.

მუხლი 8. სერტიფიკატის დანართი

1. სერტიფიკატის დანართის რეკვიზიტები ქართულ ენაზე:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

სერტიფიკატის დანართის ფორმა შემუშავებულია ევროკომისიის, ევროსაბჭოსა და UNESCO/CEPES-ის მიერ. დანართის მიზანია უზრუნველყოს მიუკერძოებელი მონაცემები საერთაშორისო „გამჭვირვალობისა“ და კვალიფიკაციების (დიპლომების, ხარისხების, სერტიფიკატების და ა.შ.) სამართლიანი, აკადემიური და პროფესიული, ცნობის/აღიარების გასაუმჯობესებლად. მისი მიზანია აღწეროს ამ დანართის შესაბამისორიგინალურ კვალიფიკაციაში მითითებული პირის მიერ გავლილი და წარმატებით

დასრულებული საგანმანათლებლო პროგრამის ხასიათი, დონე, კონტექსტი, შინაარსი და სტატუსი. აღწერა თავისუფალი უნდა იყოს შეფასებითი დასკვნებისაგან, ეკვივალენტობის მტკიცებისა ან აღიარების შესახებ შეთავაზებისაგან. ინფორმაცია უნდა შეივსოს რვავე პარაგრაფში. თუ ინფორმაცია არ არის მოცემული, საჭიროა განიმარტოს მიზეზი.

ა) კვალიფიკაციის მფლობელის შესახებ საიდენტიფიკაციო ინფორმაცია

ა.ა) გვარი:

ა.ბ) სახელ(ებ)ი:

ა.გ) დაბადების თარიღი: (დღე/თვე/წელი):

ა.დ) პირის საიდენტიფიკაციო ნომერი ან კოდი (თუ არსებობს):

ბ) კვალიფიკაციის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია

ბ.ა) კვალიფიკაციის დასახელება და (თუ არსებობს) მინიჭებული წოდება:

ბ.ბ) კვალიფიკაციის განმსაზღვრელი სწავლის სფერო(ები):

ბ.გ) კვალიფიკაციის მიმნიჭებელი დაწესებულების დასახელება და სტატუსი:

ბ.დ) იმ დაწესებულების (თუ განსხვავდება ამ ქვეპუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დაწესებულებისაგან) დასახელება და სტატუსი, რომელშიც განხორციელდა სწავლების პროცესი:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბ.ე) სწავლების/გამოცდის ენა (ენები):

გ) ინფორმაცია კვალიფიკაციის დონის შესახებ

გ.ა) კვალიფიკაციის დონე:

გ.ბ) პროგრამის ოფიციალური ხანგრძლივობა:

გ.გ) დაშვების წინაპირობა:

დ) ინფორმაცია შინაარსსა და მიღწეულ შედეგებზე

დ.ა) სწავლების ფორმა:

დ.ბ) პროგრამის მოთხოვნები:

დ.გ) პროგრამის დეტალები: (მაგ., შესწავლილი მოდულები და ერთეულები) და მიღებული ინდივიდუალური ნიშნები/ შეფასებები/ კრედიტები: (თუ არსებობს, უნდა დაერთოს ოფიციალური ნიშნების ფურცელი (ტრანსკრიპტი));

დ.დ) შეფასებების სისტემა და, თუ შესაძლებელია, შეფასებების განაწილების ინსტრუქცია:

დ.ე) კვალიფიკაციის სრული კლასიფიკაცია:

ე) ინფორმაცია კვალიფიკაციის ფუნქციის შესახებ

ე.ა) დაშვება სწავლების შემდგომ საფეხურზე:

ე.ბ) პროფესიული სტატუსი (თუ ასეთი არსებობს):

ვ) დამატებითი ინფორმაცია

ვ.ა) დამატებითი ინფორმაცია:

ვ.ბ) დამატებითი ინფორმაციის წყაროები:

ზ) დანართის დამოწმება

ზ.ა) თარიღი:

ზ.ბ) ხელმოწერა/ხელმოწერები:

ზ.გ) თანამდებობა:

ზ.დ) ოფიციალური შტამპი ან ბეჭედი (კერძო სამართლის იურიდიული პირის – დაწესებულების შემთხვევაში –ნებაყოფლობით):

თ) ინფორმაცია უმაღლესი განათლების ეროვნული სისტემის შესახებ.

2. სერტიფიკატის დანართის რეკვიზიტები ინგლისურ ენაზე:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

This Diploma Supplement model was developed by the European Commission, Council of Europe and UNESCO/CEPES. The purpose of the supplement is to provide sufficient independent data to improve the international 'transparency' and fair academic and professional recognition of qualifications (diplomas, degrees, certificates etc.). It is designed to provide a description of the nature, level, context, content and status of the studies that were pursued and successfully completed by the individual named on the original qualification to which this supplement is appended. It should be free from any value judgements, equivalence statements or suggestions about recognition. Information in all eight sections should be provided. Where information is not provided, an explanation should give the reason why.

ა) INFORMATION IDENTIFYING THE HOLDER OF THE QUALIFICATION

ა.ა) Family name(s):

ა.ბ)Given name(s):

ა.გ)Date of birth (day/month/ year):

ა.დ) Individual's identification number or code (if available):

ბ) INFORMATION IDENTIFYING THE QUALIFICATION

ბ.ა) Name of qualification and (if applicable) title conferred:

ბ.ბ) Main field(s) of study for the qualification:

ბ.გ) Name and status of awarding institution:

ბ.დ) Name and status of institution (if different from the awarding institution) administering studies

ბ.ე) Language(s) of instruction/examination:

გ) INFORMATION ON THE LEVEL OF THE QUALIFICATION

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გ.ა) Level of qualification:

გ.ბ)Official length of programme:

გ.გ) Access requirement(s)

დ) INFORMATION ON THE CONTENTS AND RESULTS GAINED

დ.ა) Mode of study:

დ.ბ) Programme requirements:

დ.გ) Programme details: (e.g. modules or units studied), and the individual grades/marks/credits obtained: (if this information is available on an official transcript this should be used here)

დ.დ) Grading scheme and, if available, grade distribution guidance:

დ.ე) Overall classification of the qualification:

ე) INFORMATION ON THE FUNCTION OF THE QUALIFICATION

ე.ა) Access to further study:

ე.ბ) Professional status (if applicable):

ვ) ADDITIONAL INFORMATION

ვ.ა) Additional information:

ვ.ბ) Further information sources:

ზ) CERTIFICATION OF THE SUPPLEMENT

ზ.ა) Date:

ზ.ბ) Signature(s):

ზ.გ) Capacity:

ზ.დ) Official stamp or seal (affixed voluntarily by legal entities of private law):

თ) INFORMATION ON THE NATIONAL HIGHER EDUCATION SYSTEM

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და მე-2 პუნქტის –თ“ ქვეპუნქტის შესავსებად საჭირო ინფორმაციის მისაღებად დაწესებულებამ უნდა მიმართოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს –განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

4. დაწესებულებას უფლება აქვს გასცეს სერტიფიკატის დანართი, რომელიც ამ მუხლით გათვალისწინებული სავალდებულო რეკვიზიტების გარდა, შესაძლებელია შეიცავდეს დაწესებულების ლოგოს და იმ სერტიფიკატის ნომერს, რომლის დანართსაც ის წარმოადგენს, მაგრამ მან უნდა შეინარჩუნოს სერტიფიკატის დანართის ყველა პუნქტი და დაიცვას თანამიმდევრობა.

მუხლი 9. გარდამავალი დებულებები

1. ამ ბრძანების ამოქმედებამდე მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 89-ე მუხლის 6^2 პუნქტის შესაბამისად დაწესებულების მიერ გაცემული სერტიფიკატები ჩაითვალოს ამ ბრძანების შესაბამისად.

2. იმ შემთხვევაში თუ აღარ არსებობს ან გამოსაყენებლად უვარგისი გახდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სერტიფიკატი, პირზე გაიცემა ამ წესის მე-6 მუხლით გათვალისწინებული მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის დუბლიკატი.

შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №29290

2016 წლის 27 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

1. „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 1 აგვისტოს №12858 ბრძანების პირველი პუნქტის:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების ინსტრუქციის“ (დანართი №1):

ა.ა) მე-2 მუხლის:

ა.ა.ა) 28-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„28. გრაფა 55 – „გადატვირთვა” – ივსება ავარიის ან/და დაუძლეველი ძალის მოქმედების დროს საქონლის ერთი სატრანსპორტო საშუალებიდან სხვა სატრანსპორტო საშუალებაში (მათ შორის, კონტეინერში) საბაჟო კონტროლის ქვეშ გადატვირთვის შემთხვევაში. საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი ვალდებულია, გამოწერილ მოწმობაში, გადატვირთვის ოპერაციის დასრულებისთანავე ხელით, ხოლო მომდევნო სამუშაო დღის 12 საათამდე ელექტრონულად, შეიტანოს გადატვირთვის შესახებ მონაცემები, კერძოდ:

ა) გრაფის განყოფილებაში „ადგილი და ქვეყანა” – მიეთითება ადმინისტრაციული ერთეულისა და დასახლებული პუნქტის (თუ გადატვირთვის აუცილებლობა წარმოიშვა დასახლებული პუნქტის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე) დასახელება;

ბ) განყოფილებაში „ახალი სატრანს. საშ. იდენტ.” – მიეთითება ახალი სატრანსპორტო საშუალების შესახებ მონაცემები, მოწმობის მე-18 გრაფის შევსების წესის შესაბამისად;

გ) განყოფილებაში „კტ” – ახალ კონტეინერში საქონლის გადატვირთვისას, კონტეინერის ველის გასააქტიურებელ კვადრატში დაისმება ციფრი „1” და მეორე ნაწილში მიეთითება კონტეინერის ნომერი. იმ შემთხვევაში, თუ არ ხდება ახალ კონტეინერში საქონლის ჩატვირთვა, აღნიშნული კვადრატი არ ივსება;

დ) განყოფილება „ახალი კონტეინ. იდენტ” ივსება, როცა განყოფილებაში „კტ” მითითებულია კოდირებული მონაცემი „1”, ასეთ დროს ეთითება გამგზავნი საგადასახადო ორგანოს თანამშრომლის მიერ დადებული ლუქების რაოდენობა (ციფრებით);

ე) განყოფილებაში „ლუქის ახალი №№”:

ე.ა) მიეთითება შემდეგი კოდირებული ციფრული მონაცემები:

ე.ა.ა) 0 – იმ შემთხვევაში, როცა არ არის საჭირო ლუქების დადება (მაგ., დიდგაბარიტიანი საქონელი);

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ე.ა.ბ) 1 – მხოლოდ სარკინიგზო გადაზიდვის შემთხვევაში, როცა რკინიგზის მიერ არ არის მოწოდებული ინფორმაცია ლუქების დადების შესახებ;

ე.ა.გ) 2 – მხოლოდ სარკინიგზო გადაზიდვის შემთხვევაში, როცა რკინიგზის მიერ მოწოდებულია ინფორმაცია ლუქების დადების შესახებ;

ე.ა.დ) 5 – როცა სატრანსპორტო საშუალებაზე იდება ლუქები;

ე.ბ) ქვეგანყოფილება „იდენტ." ივსება გრაფის განყოფილებაში „ლუქის ახალი №№" კოდირებული მონაცემი „5"-ის ჩაწერისას და მიეთითება იდენტიფიკაციის საშუალებ(ებ)ის ტიპი („1" – ძალოვანი ლუქის შემთხვევაში, „2" – მწებავი ლენტის შემთხვევაში), ხოლო მძიმის შემდეგ ნომერი. რამდენიმე იდენტიფიკაციის საშუალების შემთხვევაში მიეთითება თითოეულის ნომერი სრულად, რომლებიც ერთმანეთისგან გამოიყოფა მძიმით, ხოლო თუ ისინი თანმიმდევრობითაა აღებული, პირველი ნომერი ჩაიწერება სრულად, მომდევნო იდენტიფიკაციის საშუალებებზე კი მხოლოდ ნომრ(ებ)ის ბოლო ორი ციფრი, რომლებიც ერთმანეთისგან გამოიყოფა წილადის ხაზებით. ამასთან, იდენტიფიკაციის საშუალებ(ებ)ის ნომერი/ნომრები მიეთითება მხოლოდ ციფრებით;";

ვ) განყოფილებაში „ხელმოწერა", „ბეჭედი" – მონაცემების სინამდვილის დადასტურებისთვის დაისმება ხელმოწერა და პირადნომრიანი ბეჭედი ან საბაჟო დეპარტამენტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის/ქვედანაყოფის მრგვალი ბეჭედი.

ა.ა.ბ) 32-ე პუნქტის „გ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) განყოფილება „იდენტ" ივსება განყოფილებაში „ლუქი" კოდირებული მონაცემი „4"-ის ან „5"-ის ჩაწერისას და მიეთითება გამგზავნი საგადასახადო ორგანოს თანამშრომლის მიერ დადებული იდენტიფიკაციის საშუალებ(ებ)ის ტიპი („1" – ძალოვანი ლუქის შემთხვევაში, „2" – მწებავი ლენტის შემთხვევაში), ხოლო მძიმის შემდეგ ნომერი. რამდენიმე იდენტიფიკაციის საშუალების შემთხვევაში მიეთითება თითოეულის ნომერი სრულად, რომლებიც ერთმანეთისგან გამოიყოფა მძიმით, ხოლო თუ ისინი თანმიმდევრობითაა აღებული, პირველი ნომერი ჩაიწერება სრულად, მომდევნო იდენტიფიკაციის საშუალებებზე კი მხოლოდ ნომრ(ებ)ის ბოლო ორი ციფრი, რომლებიც ერთმანეთისგან გამოიყოფა წილადის ხაზებით. ამასთან, იდენტიფიკაციის საშუალებ(ებ)ის ნომერი/ნომრები მიეთითება მხოლოდ ციფრებით;";

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა.ბ) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სრული დახურვის მეშვეობით, როცა ხდება მოწმობით გადაადგილებული საქონლის და სატრანსპორტო საშუალების საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით საზღვრის გადაკვეთა ან მოწმობით გადაადგილებული საქონლის თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში წარდგენა და მოწმობას ენიჭება დახურვის ნომერი „R“. ამასთან, მოწმობის „I“ გრაფის განყოფილებაში „შენიშვნა“ საბაჟო გამშვები პუნქტის უფლებამოსილი თანამშრომელი უთითებს ტრანზიტული ტვირთის გადამზიდავი სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის/მძღოლის მიერ წარდგენილი გზათსარგებლობის საფასურის საბანკო დაწესებულებაში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ან გზათსარგებლობის საფასურის ბარათის მონაცემებს;“;

ა.გ) 7^1 მუხლის 21-ე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) მეორე განყოფილება ივსება პირველ განყოფილებაში კოდირებული მონაცემი „4“-ის ან „5“-ის ჩაწერისას და მიეთითება გამგზავნი საგადასახადო ორგანოს თანამშრომლის მიერ დადებული იდენტიფიკაციის საშუალებ(ებ)ის ტიპი („1“ – ძალოვანი ლუქის შემთხვევაში, „2“ – მწებავი ლენტის შემთხვევაში), ხოლო მძიმის შემდეგ ნომერი. რამდენიმე იდენტიფიკაციის საშუალების შემთხვევაში მიეთითება თითოეულის ნომერი სრულად, რომლებიც ერთმანეთისგან გამოიყოფა მძიმით, ხოლო თუ ისინი თანმიმდევრობითაა აღებული, პირველი ნომერი ჩაიწერება სრულად, მომდევნო იდენტიფიკაციის საშუალებებზე კი მხოლოდ ნომრ(ებ)ის ბოლო ორი ციფრი, რომლებიც ერთმანეთისგან გამოიყოფა წილადის ხაზებით. ამასთან, იდენტიფიკაციის საშუალებ(ებ)ის ნომერი/ნომრები მიეთითება მხოლოდ ციფრებით;“;

ა.დ) მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. TIR წიგნაკს კონტროლიდან ხსნის დანიშნულების საგადასახადო ორგანო, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. კონტროლიდან მოხსნის მიზნით, TIR წიგნაკის 27-ე გრაფაში მიეთითება „ASYCUDA“-ს მიერ მინიჭებული „R“ ნომერი; 28-ე გრაფაში დაესმება საგადასახადო ორგანოს დამღა „მოხსნილია კონტროლიდან“, ხოლო დამღაში შესაბამის ადგილზე მიეთითება კონტროლიდან მოხსნის თარიღი, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის ხელმოწერა და პირადნომრიანი ბეჭედი ან საბაჟო დეპარტამენტის შესაბამისის ტრუქტურული ერთეულის/ქვედანაყოფის მრგვალი ბეჭედი. ამასთან, მოწმობის ელექტრონულ ფორმატში „I“ გრაფის განყოფილებაში „შენიშვნა“ საბაჟო გამშვები პუნქტის უფლებამოსილი თანამშრომელი უთითებს ტრანზიტული ტვირთის გადამზიდავი სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის/მძღოლის მიერ

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

წარდგენილი გზათსარგებლობის საფასურის საბანკო დაწესებულებაში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ან გზათსარგებლობის საფასურის ბარათის მონაცემებს;“;

ა.ე) 36-ე მუხლის მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. გრაფა 44 „დამატებითი ინფორმაცია” – გრაფაში აღინიშნება დეკლარაციასთან ერთად წარდგენილი ნებართვის ნომერი (ასეთის არსებობის აუცილებლობის შემთხვევაში) და დოკუმენტაციის ნომრები კლასიფიკატორის მე-10 ნაწილის შესაბამისად. გრაფაში აღინიშნება საქონელზე ან/და სატრანსპორტო საშუალებაზე დადებული იდენტიფიკაციის საშუალების (ნიშნის) კოდი (420 ან 421) კლასიფიკატორის მე-10 ნაწილის შესაბამისად, ხოლო დეკლარაციის უკანა გვერდზე მიეთითება იდენტიფიკაციის საშუალების ნომერი. რამდენიმე იდენტიფიკაციის საშუალების შემთხვევაში მიეთითება თითოეულის ნომერი სრულად, რომლებიც ერთმანეთისგან გამოიყოფა მძიმით, ხოლო თუ ისინი თანმიმდევრობითაა აღებული, პირველი ნომერი ჩაიწერება სრულად, მომდევნო იდენტიფიკაციის საშუალებებზე კი მხოლოდ ნომრ(ებ)ის ბოლო ორი ციფრი, რომლებიც ერთმანეთისგან გამოიყოფა წილადის ხაზებით. ამასთან, იდენტიფიკაციის საშუალებ(ებ)ის ნომერი/ნომრები მიეთითება მხოლოდ ციფრებით;“;

ბ) „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „დეკლარირების კლასიფიკატორის“ (დანართი №2) მე-10 ნაწილის:

ბ.ა) „013“ გრაფა ამოღებულ იქნეს;

ბ.ბ) გრაფა „471“-ის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „472“–„479“ გრაფები:

„472	ნარჩენების იმპორტის, ექსპორტის და ტრანზიტის ნებართვა
473	ოზონდამშლელი ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვა
474	მკაცრად შეზღუდული საშიში ქიმიური ნივთიერებების და პესტიციდების იმპორტის, რეექსპორტის, საწყობის, დროებითი შემოტანის ან შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციის შემთხვევაში – იმპორტის წინასწარ დასაბუთებული თანხმობა
475	მკაცრად შეზღუდული საშიში ქიმიური ნივთიერებების და პესტიციდების ექსპორტის ან გარე გადამუშავების სასაქონლო ოპერაციის შემთხვევაში – იმპორტიორი ქვეყნის წინასწარი თანხმობა, სადაც მინიშნებული იქნება, რომ იმპორტიორი მხარის ან სხვა ქვეყნის ეროვნული დანიშნული ორგანო თანახმაა როტერდამის კონვენციის III დანართში შესული საშიში ქიმიური ნივთიერების ან პესტიციდის იმპორტზე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

476	პრეკურსორის იმპორტის შემთხვევაში – წინასწარი შეთანხმების დოკუმენტი
477	პრეკურსორის ექსპორტის შემთხვევაში – წინასწარი შეთანხმების დოკუმენტი
478	ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის იმპორტის, საწყობის, დროებითი შემოტანისა და შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციის შემთხვევაში – „საერთო ვეტერინარული შესვლის დოკუმენტი“
479	ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის იმპორტის, საწყობის, დროებითი შემოტანისა და შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციის შემთხვევაში – „საერთო ფიტოსანიტარიული შესვლის დოკუმენტი.“.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

შემოსავლების სამსახურის უფროსი

გიორგი თაბუაშვილი

შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №30685

2016 წლის 7 ნოემბერი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დავების დეპარტამენტის დებულების (დანართი №7):

ა) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

შემოსავლების სამსახურის უფროსი

გიორგი თაბუაშვილი

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №117/04

2016 წლის 26 ოქტომბერი, ქ. თბილისი

„საქართველოს საბანკო დაწესებულებებში საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომრის გამოყენების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 17 მარტის №44/01 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და 67-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საქართველოს საბანკო დაწესებულებებში საერთაშორისო საბანკო ანგარიშის ნომრის გამოყენების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 17 მარტის №44/01 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის დანართი №2 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 2

ამ ბრძანების დაუყოვნებელი ამოქმედება განპირობებულია კომერციული ბანკების საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების აუცილებლობით

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

კობა გვენეტაძე

დანართი №2

ბანკის დასახელება	IBAN კოდი
საქართველოს ეროვნული ბანკი	NB
სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი – საქართველო“	AZ
სს „ბაზისბანკი“	BS
სს „ბანკი ქართუ“	CR
სს „სილქ როუდ ბანკი“	BT
სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“	VT
სს „ზირაათ ბანკის“ თბილისის ფილიალი	ZB
სს „თიბისი ბანკი“	TB
სს „კაპიტალ ბანკი“	IN
სს „ტერაბანკი“	KS
სს „პროკრედიტ ბანკი“	PC
სს „საქართველოს ბანკი“	BG
სს „ლიბერთი ბანკი“	LB
სს „ხალიკ ბანკი საქართველო“	HB
სს ბანკი „რესპუბლიკა“	BR
სს „იშბანკი საქართველო“	IS

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

სს „პაშა ბანკი საქართველო“	PB
სს „ფინკა ბანკი საქართველო“	FG

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის

ბრძანება №17

2016 წლის 28 ოქტომბერი, ქ. თბილისი

ვებგვერდისა და რეესტრის ელექტრონული ფორმით წარმოების, მისი სტრუქტურის, ფორმის, მასში ასახული ინფორმაციის ნუსხისა და მომხმარებელთა იდენტიფიცირების წესის განსაზღვრის თაობაზე

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის და 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

დამტკიცდეს ,,ვებგვერდის და რეესტრის ელექტრონული ფორმით წარმოების, მისი სტრუქტურის, ფორმის, მასში ასახული ინფორმაციის ნუსხისა და მომხმარებელთა იდენტიფიცირების წესი (დანართი №1).

მუხლი 2

დამტკიცდეს ,,აუდიტორების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციით დაინტერესებულ ფიზიკურ პირთა სარეგისტრაციო განაცხადის ფორმა“ (დანართი №2).

მუხლი 3

დამტკიცდეს „აუდიტორული (აუდიტური) ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციით დაინტერესებულ იურიდიულ პირთა სარეგისტრაციო განაცხადის ფორმა“ (დანართი №3).

მუხლი 4

ეს ბრძანება, გარდა ამ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტისა, ამოქმედდეს 2016 წლის 1 ნოემბრიდან.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 5

ამ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.

მუხლი 6

ამ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის

ზედამხედველობის სამსახურის უფროსი

იური დოლიძე

დანართი №1

ვებგვერდისა და რეესტრის ელექტრონული ფორმით წარმოების, მისი სტრუქტურის, ფორმის, მასში ასახული ინფორმაციის ნუსხისა და მომხმარებელთა იდენტიფიცირების წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ეს წესი განსაზღვრავს აუდიტორებისა და აუდიტორული (აუდიტური) ფირმების (შემდგომ – აუდიტორული ფირმა) ვებგვერდისა და სახელმწიფო რეესტრის (შემდგომ – რეესტრი) ელექტრონული ფორმით წარმოების წესს, სტრუქტურას, ფორმას, რეესტრში ასახული აუცილებელი ინფორმაციის ჩამონათვალს, მომხმარებელთა იდენტიფიცირებისა და რეესტრში რეგისტრაციით დაინტერესებულ პირთა სარეგისტრაციო წარმოების წესებსა და პირობებს, წარმოებაში მონაწილე მხარეებს, მათ უფლებებსა და მოვალეობებს.

მუხლი 2. აუდიტორების/აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრი

1. საქართველოში რეგისტრირებული ფიზიკური პირი, იურიდიული პირი და სხვა ქვეყანაში რეგისტრირებული იურიდიული პირის ფილიალი (შემდგომ – ფილიალი) საქართველოში აუდიტის ჩატარების უფლებამოსილებას იძენენ აუდიტორების/აუდიტორულ ფირმათა სახელმწიფო რეესტრში (შემდგომ – რეესტრი) რეგისტრაციის შემდეგ. რეესტრი საჯაროა. რეესტრი შედგება აუდიტორების სახელმწიფო რეესტრისაგან (შემდგომ – აუდიტორების რეესტრი) და აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრისაგან (შემდგომ – აუდიტორული ფირმების რეესტრი).

2. რეესტრის წარმოების მიზნით სამსახური იყენებს შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფებს და სისტემებს.

3. რეესტრში აუდიტორის/აუდიტორული ფირმის იდენტიფიკაცია უზრუნველყოფილია აუდიტორთა/აუდიტორული ფირმის ინდივიდუალური სარეგისტრაციო ნომრით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

4. რეესტრში რეგისტრაციისათვის აუცილებელია რეგისტრაციით დაინტერესებულ პირთა მიერ ამ ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისი სარეგისტრაციო განაცხადის ელექტრონული ფორმით შევსება და ამ წესის შესაბამისად განსაზღვრული დოკუმენტაციის სამსახურისათვის მატერიალური ფორმით წარდგენა. სარეგისტრაციო განაცხადი ივსება სრულად, გარდა ამ წესით გათვალისწინებული შემთხვევისა.

5. რეესტრის წარმოებას, მასში ასახული ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სამსახური.

6. სამსახური უფლებამოსილია საჯარო არ გახადოს რეესტრში ასახული, ამ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის„თ“ ქვეპუნქტითა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის„თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია, თუ ინფორმაციის გასაჯაროვება საფრთხეს უქმნის ქვეყნის ან/და მესამე პირის ინტერესებს. ინფორმაციის შეფასების, ანალიზის და მისი გამოქვეყნების მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამსახური.

7. პირის მიერ სარეგისტრაციო განაცხადში წარმოდგენილი და რეესტრში ასახული ინფორმაციის სისწორეზე კონტროლს ახორციელებს სამსახური.

8. სარეგისტრაციო განაცხადით წარდგენილი ის ინფორმაცია (მათ შორის, განახლებადი), რომელიც არ ექვემდებარება რეესტრში გასაჯაროებას, სამსახურის მიერ გამოიყენება საზედამხედველო სფეროების მდგომარეობის შესწავლის, სტატისტიკური ანალიზის მიზნით, რაც აისახება სამსახურის წლიურ საერთო ანგარიშში.

9. საქართველოს პროფესიული ორგანიზაცია, რომელშიც უნდა იყოს გაწევრიანებული ფიზიკური პირი, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) რეგისტრირებული იყოს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად;

ბ) ჰქონდეს შიდა პოლიტიკა, სისტემები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს:

ბ.ა) პროფესიული სერტიფიცირებისა და განგრძობითი განათლების მიმართ მოთხოვნების დაკმაყოფილებას;

ბ.ბ) პროფესიული ორგანიზაციების წევრების მიერ პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (IESBA Code) და ხარისხის კონტროლის სისტემის მიმართ მოთხოვნების შესრულებას, პროფესიული ორგანიზაციის მიერ დადგენილი მოთხოვნების დარღვევის გამოვლენას და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაწესებას;

გ) მმართველობის ორგანოს წევრთა უმრავლესობას შეადგენდნენ აუდიტორები ან/და სერტიფიცირებული ბუღალტრები;

დ) მართავდეს ვებგვერდს, რომელზეც გამოაქვეყნებს მისი წევრი აუდიტორების და ამ პროფესიული ორგანიზაციის მიერ სერტიფიცირებული ბუღალტრების რეესტრს, ორგანიზაციის ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშგებას და საქმიანობის შესახებ ანგარიშს.

10. სამსახური უფლებამოსილია განახორციელოს პროფესიული ორგანიზაციის„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონისა (შემდგომ – კანონი) და მის საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგი. უარყოფითი შედეგების გამოვლენისას, სამსახურის უფროსის მიერ გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში ქვეყნდება სამსახურის ვებგვერდზე და ეგზავნება შესაბამის პროფესიულ ორგანიზაციასა და მის წევრ აუდიტორებს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

11. სერტიფიცირებული ბუღალტერი ვალდებულია ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს 30 დღის ვადაში გაწევრიანდეს საქართველოს იმ პროფესიულ ორგანიზაციაში, რომელიც აკმაყოფილებს კანონით და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

12. აუდიტორული ფირმა ვალდებულია, საქმიანობის მანძილზე ყოველთვის დარწმუნდეს, რომ პროფესიული ორგანიზაცია, რომელშიც მასთან დასაქმებული აუდიტორი და სერტიფიცირებული ბუღალტერი არის გაწევრიანებული, შეესაბამება კანონითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

13. პირი/ორგანიზაცია უფლებამოსილია კანონითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული სხვადასხვა შინაარსის ამსახველი ინფორმაცია/დოკუმენტაცია პირზე გასცეს ერთი დოკუმენტის (წერილის) სახით.

მუხლი 3. აუდიტორების რეესტრში ასახული ინფორმაცია

1. აუდიტორების რეესტრში აუდიტორის შესახებ უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) აუდიტორის სახელი, გვარი (ქართულ და ინგლისურ ენებზე), ფაქტობრივი და იურიდიული მისამართი, საქმიანობის ადგილი (ინდივიდუალურად ან აუდიტორული ფირმის მეშვეობით) და სარეგისტრაციო ნომერი;

ბ) იმ აუდიტორული ფირმის სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება (ქართულ და ინგლისურ ენებზე), იურიდიული მისამართი, ვებგვერდის მისამართი და სარეგისტრაციო ნომერი, რომელშიც დასაქმებულია აუდიტორი ან რომელშიც ის არის პარტნიორი/აქციონერი, მმართველობითი ორგანოს წევრი ან რომელთანაც სხვაგვარად არის დაკავშირებული;

გ) ინფორმაცია მისი სხვა ქვეყანაში აუდიტორად რეგისტრაციის შესახებ, ქვეყნის, მარეგისტრირებელი ორგანოს დასახელების, ვებგვერდის და სარეგისტრაციო ნომრის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მითითებით;

დ) საქართველოს პროფესიულ ორგანიზაციაში წევრობის შესახებ, პროფესიული ორგანიზაციის სახელწოდების, პროფესიული ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო ნომრის, პროფესიული ორგანიზაციის ვებგვერდის, პროფესიულ ორგანიზაციაში რეგისტრაციის ნომრის მითითებით;

ე) ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის შედეგები (აისახება სამსახურის მიერ, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში);

ვ) ბოლო 3 წლის განმავლობაში აუდიტორული (არადაქირავებული) საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები;

ზ) პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა, სადაზღვევო კომპანიის დასახელების, დაზღვეული პერიოდისა და სადაზღვევო თანხის მითითებით;

თ) ინფორმაცია აუდიტორისათვის სანქციის დაკისრების თაობაზე (ივსება სამსახურის მიერ). ამასთანავე, სამსახური ადმინისტრაციულ აქტს, რომელიც აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას სანქციას აკისრებს, ძალაში შესვლისა და იმ სუბიექტის ინფორმირების შემდეგ, რომელსაც სანქცია დაეკისრა, დაუყოვნებლივ, არანაკლებ 5 წლის ვადით აქვეყნებს ვებგვერდზე, მხარეების მიერ ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ ინფორმაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მითითებით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. აუდიტორების რეესტრის მთავარ გვერდზე აისახება აუდიტორთა ჩამონათვალი ანბანური თანმიმდევრობით, თითოეული აუდიტორის სარეგისტრაციო ნომრის, აუდიტორის გვარის, სახელის და საქმიანობის ძირითადი ადგილის („ინდივიდუალურად“ ან „აუდიტორული ფირმის სახელწოდების“) მითითებით.

მუხლი 4. აუდიტორების რეესტრში რეგისტრაციისათვის აუცილებელი პირობები

1. აუდიტორების რეესტრში რეგისტრაციით დაინტერესებული ფიზიკური პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) იყოს სერტიფიცირებული ბუღალტერი;

ბ) ჰქონდეს აუდიტორის ზედამხედველობით ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების არანაკლებ 3-წლიანი პრაქტიკული გამოცდილება, რასაც წერილობით ადასტურებს ზედამხედველი აუდიტორი;

გ) არ იყოს ნასამართლევი ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის, აგრეთვე სხვა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის;

დ) იყოს პროფესიული ორგანიზაციის წევრი;

ე) არ ჰქონდეს დარღვეული პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსი (IESBA Code), რასაც ადასტურებს პროფესიული ორგანიზაცია ან ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აუდიტორი;

ვ) საქმიანობის ინდივიდუალურად განხორციელების შემთხვევაში, დაზღვეული ჰქონდეს პროფესიული პასუხისმგებლობა, კანონის მე-12 მუხლის მე-7 პუნქტის,,ზ“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად.

2. კანონის მე-13 მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე სამსახური უფლებამოსილია ამ წესის შესაბამისად, საქართველოს სამართლის საკვალიფიკაციო ტესტის ჩაბარებისა და შესაბამისი მიმართვის საფუძველზე რეესტრში დაარეგისტრიროს ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) წევრ ქვეყნებში, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, აგრეთვე კანონის მე-13 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე სამსახურის მიერ განსაზღვრულ ქვეყნებში არსებული ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) წევრი ორგანიზაციების წევრი ფიზიკური პირი, რომელსაც სურს აუდიტის საქართველოში ჩატარება.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის,,ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული 3 (სამი)-წლიანი პრაქტიკული გამოცდილება გულისხმობს ამ 3 (სამ)-წლიანი პერიოდის არანაკლებ ბოლო 2 (ორი) წლის მანძილზე, მაგრამ სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსის მინიჭებიდან არანაკლებ ბოლო 1 (ერთი) წლის მანძილზე, უშუალოდ გარიგების პარტნიორის დაქვემდებარებაში მუშაობას და ისეთი ფუნქციების შესრულებას, რომელიც სულ მცირე მოიცავს სამუშაო გუნდის მართვას, პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვის და ხარისხის უზრუნველყოფას, აუდიტის დაგეგმვას, დამკვეთ სუბიექტთან ურთიერთობას გარიგების მნიშვნელოვან საკითხებზე, არსებითი აუდიტორული მტკიცებულებების და მსჯელობების, აუდიტს დაქვემდებარებული ფინანსური ანგარიშგების მთლიანობაში მიმოხილვას, რაც საფუძვლად ედება აუდიტორული დასკვნის მომზადებას.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 5. აუდიტორული ფირმების რეესტრში ასახული ინფორმაცია

1. აუდიტორული ფირმების რეესტრში აუდიტორული ფირმის შესახებ უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება (ქართულ და ინგლისურ ენებზე), იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი, ვებგვერდის მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია (მათ შორის, მთავარი საკონტაქტო-წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის სახელი, გვარი) და სარეგისტრაციო ნომერი;

ბ) იმ აუდიტორის/სერტიფიცირებული ბუღალტრის სახელი, გვარი და სარეგისტრაციო ნომერი, რომელიც აუდიტორულ ფირმაშია დასაქმებული ან მასში არის პარტნიორი/აქციონერი ან მმართველობითი ორგანოს წევრი ან სხვაგვარად არის მასთან დაკავშირებული, აგრეთვე აუდიტორულ ფირმაში დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა;

გ) ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის შედეგები (აისახება სამსახურის მიერ, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში);

დ) არსებობის შემთხვევაში, იმ სდპ-ის სახელწოდება და საანგარიშგებო პერიოდი, რომელსაც ის უწევდა ან/და უწევს აუდიტორულ მომსახურებას;

ე) პარტნიორთა/აქციონერთა წილობრივი მონაწილეობა (ინფორმაციას სამსახური იღებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირისგან – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსგან);

ვ) პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა, სადაზღვევო თანხის, დაზღვეული პერიოდის და სადაზღვევო კომპანიის მითითებით;

ზ) ბოლო 3 წლის განმავლობაში აუდიტორული (არადაქირავებული) საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები;

თ) ინფორმაცია აუდიტორული ფირმისათვის სანქციის დაკისრების თაობაზე (ივსება სამსახურის მიერ). ამასთანავე, სამსახური ადმინისტრაციულ აქტს, რომელიც აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას სანქციას აკისრებს, ძალაში შესვლისა და იმ სუბიექტის ინფორმირების შემდეგ, რომელსაც სანქცია დაეკისრა, დაუყოვნებლივ, არანაკლებ 5 წლის ვადით აქვეყნებს ვებგვერდზე, მხარეების მიერ ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ ინფორმაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მითითებით.

2. აუდიტორული ფირმების რეესტრის მთავარ გვერდზე აისახება აუდიტორული ფირმების ჩამონათვალი ანბანური თანმიმდევრობით, თითოეული აუდიტორული ფირმის სარეგისტრაციო ნომრის, სამართლებრივი ფორმის, სახელწოდების და საკონტაქტო ტელეფონის მითითებით.

მუხლი 6. აუდიტორული ფირმების რეესტრში რეგისტრაციისათვის აუცილებელი პირობები

აუდიტორული ფირმების რეესტრში რეგისტრაციით დაინტერესებული იურიდიული პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) ახორციელებდეს აუდიტორულ საქმიანობას სულ მცირე 1 გარიგების პარტნიორის მეშვეობით;

ბ) აუდიტორულ ფირმაში 50%-ზე მეტი ხმის უფლებას ფლობდეს (ფლობდნენ) რეესტრში რეგისტრირებული აუდიტორი (აუდიტორები) ან/და აუდიტორული ფირმა ან/და ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) წევრ ქვეყნებში ან/და ევროკავშირის წევრი ქვეყნების აუდიტორულ რეესტრში რეგისტრირებული ფირმა ან/და ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) წევრ ქვეყნებსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არსებული ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) წევრი ორგანიზაციების წევრი ფიზიკური პირი (პირები);

გ) მმართველობითი ორგანოს წევრთა უმრავლესობა შედგებოდეს აუდიტორებისაგან. თუ მმართველობითი ორგანო 2 წევრისაგან შედგება, ერთ-ერთი მათგანი აუდიტორი უნდა იყოს;

დ) დაზღვეული ჰქონდეს პროფესიული პასუხისმგებლობა.

მუხლი 7. სარეგისტრაციო წარმოების დაწყება

1. სარეგისტრაციო წარმოების მხარეებს წარმოადგენენ განმცხადებელი ფიზიკური პირი/იურიდიული პირი/ფილიალი და სამსახური.

2. რეესტრში დარეგისტრირების ან პირისათვის რეგისტრაციის აღდგენის საფუძველია ამ ბრძანებით დამტკიცებული, რეგისტრაციით დაინტერესებულ ფიზიკურ პირთა სარეგისტრაციო განაცხადის (დანართი N2) ან რეგისტრაციით დაინტერესებულ იურიდიულ პირთა სარეგისტრაციო განაცხადის (დანართი N3) სამსახურში წარდგენა, კანონითა და ამ ბრძანებით დადგენილი წესით.

3. სარეგისტრაციო წარმოების დაწყებამდე რეესტრში რეგისტრაციით დაინტერესებულმა პირმა უნდა შეავსოს სარეგისტრაციო განაცხადი ელექტრონული ფორმით, რისთვისაც საჭიროა მან სამსახურის ვებგვერდზე (www.saras.gov.ge) გაიაროს პირველადი რეგისტრაცია და ავტორიზაცია.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული წესით შევსებული ელექტრონული სარეგისტრაციო განაცხადი, სამსახურში წარდგენილი უნდა იქნეს ასევე მატერიალური ფორმით, მასზე თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად. ელექტრონული სარეგისტრაციო განაცხადის სამსახურში მატერიალურად წარდგენის შემდეგ, პირის მიერ დამატებით წარსადგენი დოკუმენტაცია ყოველ შემდეგ ეტაპზე წარდგენილი უნდა იქნეს წერილობითი ფორმით. ამასთან, რეესტრში პირველადი რეგისტრაციით დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირი უფლებამოსილნი არიან რეგისტრაციის მიზნით ერთდროულად მიმართონ სამსახურს სარეგისტრაციო განაცხადით, სამსახურის მიერ იურიდიული პირის რეესტრში რეგისტრაცია განხორციელდება მას შემდეგ, რაც ამ ფირმის სულ მცირე ერთი გარიგების პარტნიორი მაინც დარეგისტრირდება რეესტრში.

5. დოკუმენტაცია სამსახურში წარმოდგენილი უნდა იყოს ასლებისა და დედნების ან/და ამ წესით განსაზღვრულ შემთხვევებში მათი ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით. ელექტრონული ფორმით სარეგისტრაციო განაცხადის წარდგენისას წარმოქმნილი ხარვეზის დაფიქსირების შემთხვევაში (მათ შორის, ტექნიკური ხასიათის), სამსახურს უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა მატერიალური ან/და ელექტრონული ფორმით. დამატებითი ინფორმაცია ან დოკუმენტია სამსახურს წარედგინება ამ ბრძანებით დადგენილი წესით. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სარეგისტრაციო წარმოების ვადის ათვლა ხელახლა არ იწყება.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

6. სამსახურის მიერ უფლებამოსილი პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ გაატაროს რეგისტრაციაში წარმოდგენილი სარეგისტრაციო განაცხადი და გასცეს მისი მიღების ბარათი, რომელიც ადასტურებს სარეგისტრაციო განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაციის წარმოდგენისა და სამსახურის მიერ სარეგისტრაციო განაცხადის სარეგისტრაციო წარმოებაში მიღების ფაქტს. სარეგისტრაციო წარმოების ვადის ათვლა იწყება განმცხადებლის მიერ დოკუმენტაციის სამსახურში მატერიალური ფორმით წარმოდგენის დღიდან.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული პირისათვის, ამ წესისა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით წარმოდგენილი დოკუმენტები არ წარმოადგენს განცხადების მიღებაზე უარის თქმის საფუძველს, იგი შესაძლებელია გახდეს სამსახურის მიერ, ამ წესით დადგენილ ვადაში სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების საფუძველი.

8. სამსახური სარეგისტრაციო განაცხადის მატერიალური (ხელმოწერით და ბეჭდით (მისი არსებობის შემთხვევაში) დადასტურებული) ფორმით წარდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, ამოწმებს სარეგისტრაციო განაცხადის კანონითა და ამ ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას.

9. სამსახური უფლებამოსილია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დამატებით მოითხოვოს სარეგისტრაციო წარმოებასთან დაკავშირებული იმ დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოდგენა, რომელიც აუცილებელია სარეგისტრაციო განაცხადით მოთხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად.

10. პროფესიული ორგანიზაცია ვალდებულია სამსახურის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს მას ინფორმაცია/დოკუმენტი მისი წევრის შესახებ, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

11. სარეგისტრაციო წარმოების დასრულების შემდეგ, აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას ენიჭება ინდივიდუალური სარეგისტრაციო ნომერი.

12. ფირმების სარეგისტრაციო წარმოების დაწყებამდე, სავალდებულოა მისი სულ მცირე იმ პირის რეგისტრაციის გავლა ან სარეგისტრაციო წარმოების დაწყება, რომელიც დაინტერესებულია გარიგების პარტნიორის სტატუსით რეესტრში რეგისტრაციით.

მუხლი 8. აუდიტორების რეესტრში რეგისტრაციით დაინტერესებულ ფიზიკურ პირთა სარეგისტრაციო განაცხადის ფორმის შევსების წესი

1. რეესტრში რეგისტრაციით დაინტერესებული ფიზიკური პირი სარეგისტრაციო განაცხადს ელექტრონულად ავსებს ამ წესის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული პროცედურების გავლით.

2. რეესტრში რეგისტრაციით დაინტერესებული ფიზიკური პირი თუ არ არის საქართველოს მოქალაქე, ნოტარიულად დამოწმებული პასპორტის ასლი სამსახურში წარმოდგენილი უნდა იყოს მატერიალური სახით.

3. სარეგისტრაციო განაცხადის:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) პირველ პუნქტში (ზოგადი ინფორმაცია) მიეთითება ინფორმაცია რეგისტრაციით დაინტერესებული პირის პირადი ნომერის, სახელის და გვარის (ქართულ და ინგლისურ ენებზე), იურიდიული მისამართის, ფაქტობრივი მისამართის, საკონტაქტო ნომრ(ებ)ის და ვებგვერდის (არსებობის შემთხვევაში) შესახებ და ასევე დანართის სახით აიტვირთება ფოტო-სურათი. იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირი აპირებს აუდიტორული საქმიანობის ძირითადად ინდივიდუალურად განხორციელებას, მიეთითება ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ, რაც აისახება აუდიტორთა რეესტრის მთავარ გვერდზე.

ბ) მე-2 პუნქტში (სამუშაო ადგილი – აუდიტორული ფირმა/ინდივიდუალურად) მიეთითება ინფორმაცია დამსაქმებლის შესახებ (ძირითადი ან არაძირითადი საქმიანობის ადგილის აღნიშვნით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დამსაქმებლის საიდენტიფიკაციო/პირადი ნომრის, სამართლებრივი ფორმის, სახელწოდების/სახელის და გვარის, (უცხო ქვეყნის ფირმის შემთხვევაში – მხოლოდ საიდენტიფიკაციო ნომერი და სახელწოდება) დამსაქმებლის იურიდიული მისამართის, დამსაქმებლის ვებგვერდის (არსებობის შემთხვევაში), დამსაქმებელთან დაკავებული თანამდებობის, აუდიტორულ ფირმაში მუშაობის დაწყების და დასრულების თარიღი (მუშაობის დასრულების თარიღი მიეთითება იმ შემთხვევაში, თუ სამუშაო ადგილი არ არის მიმდინარე). დამსაქმებლის მიერ გაცემული ცნობა პირის დასაქმების შესახებ სამსახურში წარმოდგენილი უნდა იქნეს მატერიალური სახით.

შენიშვნა 1: რეესტრის წარმოების მიზნებისთვის ძირითად სამუშაო ადგილად ითვლება მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებული ის აუდიტორული ფირმა, რომელიც რეგისტრაციის პროცესის დასრულების შემდეგ აისახება აუდიტორთა რეესტრის მთავარ გვერდზე. არაძირითადი სამუშაო ადგილი მიეთითება იმ შემთხვევაში, თუ პირი დასაქმებულია ძირითადის გარდა სხვა აუდიტორულ ფირმაში, სხვა საქმიანობის ინდივიდუალურად განმახორციელებელ აუდიტორთან ან ახორციელებს საქმიანობას ინდივიდუალურად.

შენიშვნა 2: იმ შემთხვევაში, თუ ძირითად ან/და არაძირითად სამუშაო ადგილას პირის მიერ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარება არ არის საკმარისი ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის„ბ“ ქვეპუნქტში მოთხოვნილი პრაქტიკული გამოცდილებისთვის, პირი ასახავს წინა სამუშაო ადგილებს, სადაც ის ახორციელებდა აუდიტორულ საქმიანობას.

შენიშვნა 3: იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული ფიზიკური პირის მიერ სარეგისტრაციო განაცხადის წარდგენისას, ამ პირის მიერ მითითებული დამსაქმებელი იურიდიული პირი/ ფილიალის მიმართ არ არის დაწყებული ან დაწყებულია და არ დასრულებულა სარეგისტრაციო წარმოება, ფიზიკური პირის სარეგისტრაციო განაცხადის მიღებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში სამსახური იღებს გადაწყვეტილებას პირისათვის სარეგისტრაციო წარმოების არაუმეტეს 20 დღით შეჩერების თაობაზე. თუ აღნიშნული სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების პერიოდში განმცხადებელი ფიზიკური პირის მიერ მითითებული იურიდიული პირი/ფილიალი სამსახურის მიერ დარეგისტრირდება აუდიტორული ფირმების რეესტრში, სამსახური იღებს გადაწყვეტილებას ფიზიკური პირისათვის სარეგისტრაციო წარმოების განახლების შესახებ. თუ აუდიტორულმა ფირმამ არ მიუთითა განმცხადებელი ფიზიკური პირი აუდიტორულ ფირმაში დასაქმებულ აუდიტორად/გარიგების პარტნიორად ან დამსაქმებელი იურიდიული პირი/ფილიალი არ/ვერ დარეგისტრირდა აუდიტორული ფირმების რეესტრში, განმცხადებელი ფიზიკური პირის მოთხოვნის შემთხვევაში, პროფესიული

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

პასუხისმგებლობის დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ, ის დარეგისტრირდება საქმიანობის ინდივიდუალურად განმახორციელებელი აუდიტორის სტატუსით. თუ განმცხადებელი ფიზიკური პირი უარს განაცხადებს აუდიტორების რეესტრში საქმიანობის ინდივიდუალურად განმახორციელებელი აუდიტორის სტატუსით რეგისტრაციაზე, პირის მიმართ სარეგისტრაციო წარმოება წყდება.

გ) მე-3 პუნქტში მიეთითება დაინტერესებული პირის აუდიტორის ზედამხედველობით ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების (აუდიტორულ გარიგებებში მონაწილოების) არანაკლებ 3 –-წლიანი პრაქტიკული გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაცია, მათ შორის, დამსაქმებელი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის სახელწოდება/სახელი და გვარი, ზედამხედველობის ქვეშ აუდიტის ჩატარების ქვეყანა (უცხო ქვეყნის სუბიექტის შემთხვევაში, ქვეყანა აისახება სუბიექტის სახელწოდების ველში), აუდიტირებული პერიოდი, იმ სუბიექტის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო ნომერი, რომლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარებაშიც პირი იღებდა მონაწილეობას, სუბიექტთან აუდიტის დაწყებისა და დასრულების თარიღი. ასევე მიეთითება ზედამხედველი აუდიტორის სახელი, გვარი, პირადი ნომერი. პრაქტიკული გამოცდილების შესახებ ზედამხედველი აუდიტორის წერილობითი დასტური სამსახურს წარედგინება სარეგისტრაციო განაცხადის დანართის სახით. დამატებით, იმ შემთხვევაში, თუ პირის მონაწილეობით ჩატარებული აუდიტის დასკვნა წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას, მიეთითება ის ბმული, რომელზეც აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არის ხელმისაწვდომი.

შენიშვნა: 3-წლიანი პრაქტიკული გამოცდილების შესახებ ინფორმაციის მითითებისას, გამოიყენება სამუშაო ადგილის განსაზღვრის შემდეგი რიგითობა: ძირითადი სამუშაო ადგილი, არაძირითადი სამუშაო ადგილი, წინა სამუშაო ადგილი.

დ) მე-4 პუნქტში მიეთითება ინფორმაცია პროფესიული სერტიფიცირების თაობაზე, სერტიფიკატის გამცემი ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო ნომრის (საქართველოში რეგისტრირებული ორგანიზაციის შემთხვევაში), სახელწოდების, ვებგვერდის, პროფესიული სერტიფიცირების დამადასტურებელი დოკუმენტის დასახელების, დოკუმენტის ნომრის, დოკუმენტის გაცემის თარიღისა და, დოკუმენტის მოქმედების ვადის (არსებობის შემთხვევაში) მითითებით. პროფესიული სერტიფიცირების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი სამსახურს წარედგინება მატერიალური ფორმით, ხოლო სერტიფიცირების დამადასტურებელი ელექტრონული დოკუმენტის შესაბამის ვებგვერდზე არსებობის შემთხვევაში – ვებგვერდის მისამართი (შესაბამისი ბმული).

შენიშვნა: უცხო ქვეყნის პროფესიული ორგანიზაციის მითითების შემთხვევაში სერტიფიკატის გამცემ ორგანიზაციად უნდა მიეთითოს ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD), ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, აგრეთვე კანონის მე-13 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე სამსახურის მიერ განსაზღვრულ ქვეყნებში არსებული ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) წევრი ორგანიზაცია. ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაინტერესებულმა პირმა უნდა ასახოს საქართველოს სამართლის საკვალიფიკაციო ტესტის ჩაბარების სერტიფიკატის შესახებ ინფორმაცია.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ე) მე-5 პუნქტში მიეთითება იმ აუდიტორული ფირმის სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი, რომელშიც დაინტერესებული პირი არის მმართველობითი ორგანოს წევრი (წევრობის ფორმის მითითებით) ან/და რომელთანაც სხვაგვარად არის დაკავშირებული (დაკავშირებული მხარე განიმარტება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 24-ის –„დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით).

ვ) მე-6 პუნქტში მიეთითება ინფორმაცია განმცხადებლის სხვა ქვეყანაში აუდიტორად რეგისტრაცის შესახებ, ქვეყნის, მარეგისტრირებელი ორგანოს სახელწოდების, ვებგვერდის, მარეგისტრირებელ ორგანოში აუდიტორად რეგისტრაციის თარიღის, სარეგისტრაციო ნომრის, რეგისტრაციით მინიჭებული სტატუსის მითითებით. უცხო ქვეყნის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის შესახებ (დასტური) დოკუმენტაციის ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული ასლი, სამსახურს წარედგინება სარეგისტრაციო განაცხადის დანართის სახით. ამასთან, თუ რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი არის მხოლოდ ელექტრონული დოკუმენტის სახით, ასევე მიეთითება ვებგვერდის მისამართი (შესაბამისი ბმული).

ზ) მე-7 პუნქტში აისახება ინფორმაცია პროფესიულ ორგანიზაციაში წევრობის თაობაზე, რომელშიც მითითებული უნდა იქნეს ქვეყანა, რომლის რეზიდენტია პროფესიული ორგანიზაცია (უცხო ქვეყანა მიეთითება მხოლოდ ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევაში), პროფესიული ორგანიზაციის სახელწოდების, საიდენტიფიკაციო ნომრის, ვებგვერდის, პროფესიულ ორგანიზაციაში გაწევრიანების თარიღის და რეგისტრაციის ნომრის მითითებით. პროფესიულ ორგანიზაციაში აუდიტორის/სერტიფიცირებული ბუღალტრის წევრობა დადასტურებული უნდა იქნეს წერილობით, რომელიც სარეგისტრაციო განაცხადს დაერთვის დანართის სახით. სარეგისტრაციო განაცხადში აგრეთვე მიეთითება ინფორმაცია პროფესიული ორგანიზაციის მმართველობით ორგანოში მონაწილეობის თაობაზე. აუდიტორი ვალდებულია დარწმუნდეს, რომ საქართველოს პროფესიული ორგანიზაცია, რომელშიც აუდიტორი არის გაწევრიანებული, შეესაბამება კანონითა და ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს. თუ სარეგისტრაციო წარმოებისას გამოვლინდება, რომ ის პროფესიული ორგანიზაცია, რომელშიც გაწევრიანებული აუდიტორი, არ აკმაყოფილებს კანონისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებს, განმცხადებელს შეუჩერდება სარეგისტრაციო წარმოება. რეგისტრაციით დაინტერესებული სერტიფიცირებული ბუღალტერი ვალდებულია არაუგვიანეს 5 დღის ვადაში გაწევრიანდეს საქართველოს იმ პროფესიულ ორგანიზაციაში, რომელიც აკმაყოფილებს კანონით და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

შენიშვნა: უცხო ქვეყნის პროფესიული ორგანიზაციის მითითების შემთხვევაში უნდა მიეთითოს ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD), ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, აგრეთვე კანონის მე-13 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე სამსახურის მიერ განსაზღვრულ ქვეყნებში არსებული ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) წევრი ორგანიზაცია. ამასთან, ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირები რეესტრში რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში ვალდებულნი არიან მიმართონ საქართველოს პროფესიულ ორგანიზაციას მათთან გაწევრიანების მოთხოვნით. პროფესიული ორგანიზაცია ვალდებულია, მიმართვიდან არაუგვიანეს 20 დღის ვადაში გააწევრიანოს პირი, ასახოს აუდიტორთა რეესტრში და გასცეს მასზე პროფესიულ ორგანიზაციაში წევრობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც აუდიტორის მიერ წარდგენილი უნდა იქნეს სამსახურში, არაუგვიანეს მისი რეესტრში რეგისტრაციიდან 30 დღის ვადაში.

თ) მე-8 პუნქტში კანონის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის,,ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნის შესრულების მიზნით, მიეთითება ინფორმაცია პროფესიული რეპუტაციის თაობაზე, რომელშიც ასახულ უნდა იქნეს ინფორმაცია პროფესიული ორგანიზაციის მხრიდან პროფესიული რეპუტაციის დადასტურების (რეკომენდაციის) შესახებ, ან/და ზედამხედველი აუდიტორის სახელი, გვარი, პირადი ნომერი და დასტური პროფესიული რეპუტაციის შესახებ. პროფესიული რეპუტაციის შესახებ დოკუმენტი უნდა ადასტურებდეს, რომ დაინტერესებულ პირს არა აქვს დარღვეული პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსი (IESBA Code). პროფესიული რეპუტაციის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილიუნდა იქნეს წერილობით, სარეგისტრაციო განაცხადის დანართის სახით.

შენიშვნა: ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირები, რომლებიც სარეგისტრაციო წარმოებამდე არ არიან გაწევრიანებული საქართველოს პროფესიულ ორგანიზაციაში, პროფესიული რეპუტაციის დასტურს წარმოადგენენ ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD), ევროკავშირის წევრ ქვეყნებში აგრეთვე კანონის მე-13 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე სამსახურის მიერ განსაზღვრულ ქვეყნებში არსებული ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) წევრი ორგანიზაციიდან, რომელშიც ისინი გაწევრიანებულნი არიან. პროფესიული რეპუტაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული ასლი, სამსახურს წარედგინება სარეგისტრაციო განაცხადის დანართის სახით.

ი) მე-9 პუნქტში მიეთითება ინფორმაცია ინდივიდუალურად მოქმედი აუდიტორის მიერ პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის თაობაზე, დაზღვეული პერიოდის, სადაზღვევო კომპანიის სახელწოდების, და სადაზღვევო თანხის მითითებით. პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია სამსახურში წარდგენილი უნდა იქნეს არაუგვიანეს სარეგისტრაციო განაცხადის წარდგენასთან ერთად ან წარდგენდან 10 სამუშაო დღის ვადაში. სამსახური უფლებამოსილია, განმცხადებლის მომართვის საფუძველზე პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოსადგენად დაინტერესებულ პირს განუსაზღვროს დამატებითი ვადა არაუმეტეს 30 დღისა, რომლის განმავლობაშიც დაინტერესებულმა პირმა პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია უნდა წარუდგინოს სამსახურს. აღნიშნულ შემთხვევაში სარეგისტრაციო წარმოება ჩერდება და დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში მიიღება გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების განახლების შესახებ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

სარეგისტრაციო წარმოების განახლების შემთხვევაში სარეგისტრაციო წარმოების ვადის ათვლა ხელახლა იწყება. დაინტერესებული პირისთვის განსაზღვრული დამატებითი ვადის გასვლის შემდეგ სამსახური უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ. სადაზღვევო პოლისის ასლი სარეგისტრაციო განაცხადს დაერთვის დანართის სახით. იმ შემთხვევაში თუ სადაზღვევო პოლისში არ არის ასახული სამსახურის მიერ დადგენილი წესით განსაზღვრული ყველა მოთხოვნა, სამსახური უფლებამოსილია პირს მოსთხოვოს სადაზღვევო ხელშეკრულების სამსახურისათვის წარმოდგენა. დაინტერესებული პირის მიერ აუდიტორულ ფირმაში საქმიანობის შემთხვევაში ამ პუნქტით წარმოდგენილი სვეტები/უჯრები არ ივსება.

კ) მე-10 პუნქტში მიეთითება ინფორმაცია, ბოლო 3 წლის განმავლობაში პროფესიული (არადაქირავებული) საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების შესახებ. დაინტერესებული პირის მიერ მიეთითება კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის„ვ.ა“ ქვეპუნტით განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების აუდიტიდან და ამავე პუნქტის„ვ.ბ“,„ვ.გ“,„ვ.დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მომსახურებებიდან (სხვა აუდიტორული საქმიანობიდან), სხვა პროფესიული მომსახურებიდან (საბუღალტრო, საგადასახადო, ფინანსური მენეჯმენტის სფეროში გაწეული მომსახურებიდან, ბიზნესსაკონსულტაციო მომსახურებიდან (მათ შორის„„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 2^3 პუნქტით განსაზღვრული ფინანსური მონიტორინგის განმახორციელებელი პირების მიერ დადებული გარიგებებიდან მიღებული შემოსავლების ოდენობა (ლარებში, წლების მიხედვით)).

ლ) მე-11 პუნქტში მიეთითება ინფორმაცია პირის ნასამართლეობის თაობაზე (ცნობის გაცემის თარიღის მითითებით). ცნობა სარეგისტრაციო განაცხადს დაერთვის მატერიალური სახით. ამ პუნქტის საფუძველზე სამსახურში წარმოდგენილი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული ნასამართლეობის ცნობის გაცემის თარიღიდან გასული დრო არ უნდა აღემატებოდეს 30 კალენდარულ დღეს.

მ) მე-12 პუნქტში მიეთითება ინფორმაცია პირის მიერ უკანასკნელი წლის განგრძობითი განათლების მიღების თაობაზე (ცნობის გაცემის თარიღის მითითებით), რისი დამადასტურებელი ცნობა სამსახურში წარდგენილი უნდა იქნეს მატერიალური სახით. განგრძობითი განათლების შესახებ ცნობა სარეგისტრაციო განაცხადს დაერთვის დანართის სახით.

შენიშვნა: ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირები, რომლებიც სარეგისტრაციო წარმოებამდე არ არიან გაწევრიანებული საქართველოს პროფესიულ ორგანიზაციაში, განგრძობითი განათლების შესახებ დასტურს წარმოადგენენ ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD), ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, აგრეთვე კანონის მე-13 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე სამსახურის მიერ განსაზღვრულ ქვეყნებში არსებული ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) წევრი ორგანიზაციიდან, რომელშიც ისინი გაწევრიანებულნი არიან.

4. სარეგისტრაციო განაცხადში განმცხადებელი ადასტურებს სარეგისტრაციო განაცხადში წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

5. სარეგისტრაციო განაცხადის ელექტრონულად შევსების შემდეგ განმცხადებელი პირი სარეგისტრაციო განაცხადს სამსახურში წარადგენს მატერიალური ფორმით, თანდართული დოკუმენტაციის ორიგინალები/ასლები უნდა იყოს დანომრილი და დამოწმებული უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით (მისი არსებობის შემთხვევაში).

6. სამსახური რეესტრის წარმოების მიზნით, უფლებამოსილია სახელის, გვარისა და იურიდიული მისამართის შესახებ ინფორმაცია დაამუშაოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში.

მუხლი 9. აუდიტორული ფირმების რეესტრში რეგისტრაციით დაინტერესებულ პირთა სარეგისტრაციო განაცხადის ფორმის შევსების წესი

1. რეესტრში რეგისტრაციით დაინტერესებული იურიდიული პირის მიერ უფლებამოსილი პირი სარეგისტრაციო განაცხადს ელექტრონულად ავსებს ამ წესის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვეული პროცედურების გავლით.

2. სარეგისტრაციო განაცხადის:

ა) პირველ პუნქტში აისახება რეესტრში რეგისტრაციით დაინტერესებული იურიდიული პირის, ან უცხო ქვეყნის იურიდიული პირის ფილიალის (შემდგომ – ფირმა) ლოგო, ასეთის არსებობის შემთხვევაში (დანართის სახით აიტვირთება ლოგოს გამოსახულება), საიდენტიფიკაციო ნომერი, სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება (ქართულ და ინგლისურ ენებზე), საკონტაქტო ინფორმაცია (იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი, საკონტაქტო ნომრები, ფირმის ვებგვერდი).

ბ) მე-2 პუნქტში მიეთითება ინფორმაცია ფირმაში დასაქმებული აუდიტორების შესახებ, აუდიტორის ან რეესტრში რეგისტრაციით დაინტერესებული ფიზიკური პირის პირადი ნომრის, სახელის, გვარის, თანამდებობის და გარიგების პარტნიორის არსებობის თაობაზე ინფორმაციის მითითებით. ასევე მიეთითება აღნიშნული აუდიტორის კავშირი ფირმასთან (განიმარტება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 24-ის,,დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით).

შენიშვნა: დასაქმებულ სერტიფიცირებულ ბუღალტრებს შორის დაინტერებულ ფირმას უნდა ჰყავდეს მითითებული სულ მცირე ერთი ისეთი სერტიფიცირებული ბუღალტერი, რომელსაც რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ, ფირმაში საქმიანობის განხორციელება სურს გარიგების პარტნიორის სტატუსით. ამასთან, დასაქმებული პირის შესახებ ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს მხოლოდ რეესტრში ასახული აუდიტორების მონაცემებს, ან იმ რეესტრში რეგისტრაციით დაინტერესებული ფიზიკური პირების მონაცემებს, რომელთა სარეგისტრაციო წარმოება დაწყებულია. გარიგების პარტნიორის სტატუსის დამადასტურებელი ინფორმაცია, რომელიც გაცემულია ფირმის ან მმართველობითი ორგანოს მიერ განაცხადს დაერთვის დანართის სახით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გ) მე-3 პუნქტში აისახება ფირმაში დასაქმებული, აუდიტორის გარდა სხვა სერტიფიცირებული ბუღალტრის თაობაზე ინფორმაცია,სერტიფიცირებული ბუღალტრის პირადი ნომერის, სახელის, გვარის, თანამდებობის მითითებით და აღნიშნული სერტიფიცირებული ბუღალტრის კავშირი ფირმასთან (განიმარტება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 24-ის,,დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით). ასევე, მიეთითება იმ პროფესიული ორგანიზაციის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო ნომერი, სადაც გაწევრიანებულია სერტიფიცირებული ბუღალტერი, სერტიფიცირებული ბუღალტრის პროფესიულ ორგანიზაციაში რეგისტრაციის ნომერი).

დ) მე-4 პუნქტში მიეთითება ინფორმაცია ფირმაში მმართველობის ორგანოს წევრების შესახებ, პირადი ნომრის, სახელის და გვარის, მმართველობით ორგანოში წევრობის ფორმის მითითებით. ამასთან, აღინიშნება ინფორმაცია მმართველობით ორგანოს წევრის აუდიტორთა რეესტრში რეგისტრაციის არსებობის თაობაზე.

ე) მე-5 პუნქტში მიეთითება ინფორმაცია პარტნიორების/აქციონერების წილობრივი მონაწილეობის თაობაზე (ფირმის სამართლებრივი ფორმის, წილის მფლობელის პირადი/საიდენტიფიკაციო ნომრის, ქვეყნის, სახელის და გვარის/დასახელების, იურიდიული მისამართის მითითებით). ამასთან, აღინიშნება პარტნიორის/აქციონერის ხმის უფლება და წილობრივი მონაწილეობა (პროცენტული თანაფარდობა) ფირმაში. აგრეთვე, მიეთითება ინფორმაცია ფირმასთან დაკავშირებული სხვა მხარეების შესახებ (გარდა საერთაშორისო ქსელში შემავალი სხვა კომპანიებისა და მათთან დაკავშირებული პირებისა,რომლებიც არ არიან რეგისტრირებული საქართველოში), დაკავშირებული მხარის სამართლებრივი ფორმის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 24-ის - ,,დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით), საიდენტიფიკაციო/პირადი ნომრის, სახელწოდების/სახელის მითითებით.

ვ) მე-6 პუნქტში მიეთითება ინფორმაცია სამსახურის მიერ დადგენილი წესით, ფირმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის თაობაზე, დაზღვეული პერიოდის, სადაზღვევო კომპანიის სახელწოდების, საიდენტიფიკაციო ნომრის, სადაზღვევო თანხის მითითებით. სადაზღვევო პოლისის ასლი სარეგისტრაციო განაცხადს დაერთვის დანართის სახით. იმ შემთხვევაში თუ სადაზღვევო პოლისში არ არის ასახული სამსახურის მიერ დადგენილი წესით განსაზღვრული ყველა მოთხოვნა, სამსახური უფლებამოსილია პირს მოსთხოვოს სადაზღვევო ხელშეკრულების სამსახურისათვის წარმოდგენა.

შენიშვნა: თუ განმცხადებლის პროფესიული პასუხიმგებლობის დაზღვევის ოდენობა რეგისტრაციის მომენტისთვის შეადგენს არანაკლებ 100 000 ლარს, მაგრამ ნაკლებია სამსახურის მიერ დადგენილ ოდენობაზე, სამსახური უფლებამოსილია სარეგისტრაციო განაცხადის მიღებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში განმცხადებელს განუსაზღვროს არაუმეტეს 30-დღიანი ვადა სადაზღვევო პოლისის სამსახურის მიერ პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევისათვის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

ზ) მე-7 პუნქტში მიეთითება ინფორმაცია აუდიტორული ფირმების საერთაშორისო ქსელში ფირმის წევრობის თაობაზე (არსებობის შემთხვევაში), ქსელის ვებგვერდის მითითებით.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

თ) მე-8 პუნქტში მიეთითება ინფორმაცია აუდიტორული და პროფესიული საქმიანობიდან (ბოლო 3 დასრულებული კალენდარული წლის განმავლობაში) მიღებული შემოსავლების თაობაზე. ფირმის მიერ მიეთითება კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის„ვ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების აუდიტიდან და ამავე პუნქტის„ვ.ბ“,„ვ.გ“,„ვ.დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მომსახურებებიდან (სხვა აუდიტორული საქმიანობიდან) მიღებული, სხვა პროფესიული მომსახურებიდან (საბუღალტრო, საგადასახადო, ფინანსური მენეჯმენტის სფეროში გაწეული მომსახურებიდან, ბიზნესსაკონსულტაციო მომსახურებიდან (მათ შორის„„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 2^3 პუნქტით განსაზღვრული ფინანსური მონიტორინგის განმახორციელებელი პირების მიერ დადებული გარიგებებიდან მიღებული შემოსავლების ოდენობა (ლარებში, წლების მიხედვით).

ი) მე-9 პუნქტში მიეთითება ინფორმაცია აუდიტორულ ფირმაში თანამშრომელთა რაოდენობის თაობაზე. აღნიშნულ შემთხვევაში ველებში მიეთითება ინფორმაცია თუ რამდენი თანამშრომელი ახორციელებს აუდიტორულ მომსახურებასა და პროფესიულ მომსახურებას, ასევე რამდენი თანამშრომელია დასაქმებული ადმინისტრაციაში.

კ) მე-10 პუნქტში მიეთითება ფირმის მთავარი საკონტაქტო-წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის, განაცხადის შევსებაზე და განახლებაზე პასუხისმგებელი პირისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის წინაშე ანგარიშვალდებული პირის საკონტაქტო ინფორმაცია (პირადი ნომერი, სახელი, გვარი, საკონტაქტო ნომერი, ელექტრონული ფოსტა).

ლ) მე-11 პუნქტში მიეთითება ინფორმაცია უცხო ქვეყნის აუდიტორული ფირმების რეესტრში რეგისტრაციის შესახებ (უცხო ქვეყნის სახელწოდება, უცხო ქვეყნის მარეგისტრირებელი ორგანოს სახელწოდება, რეგისტრაციის ნომერი);

3. განმცხადებელი ადასტურებს ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული ინფორმაციის სისწორეს.

4. ელექტრონულად სარეგისტრაციო განაცხადის ელექტრონულად შევსების შემდეგ განმცხადებელი პირი სარეგისტრაციო განაცხადს სამსახურში წარადგენს მატერიალური ფორმით თანდართული დოკუმენტაცია (მათ შორის, ნოტარიულად დამოწმებული ასლები) უნდა იყოს დანომრილი და დამოწმებული უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით (მისი არსებობის შემთხვევაში).

5. იმ შემთხვევაში, თუ რეგისტრაციით დაინტერესებული იურიდიული პირის მიერ სარეგისტრაციო განაცხადის წარდგენისას ამ იურიდიული პირის მიერ მითითებულ სულ მცირე ერთი ფიზიკური პირზე (ფირმაში გარიგების პარტნიორის სტატუსით დასაქმებით დაინტერესებული) არ არის დაწყებული ან დაწყებულია და არ დასრულებულა სარეგისტრაციო წარმოება, იურიდიული პირის სარეგისტრაციო განაცხადის მიღებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში სამსახური იღებს გადაწყვეტილებას იურიდიული პირისათვის სარეგისტრაციო წარმოების არაუმეტეს 20 დღით შეჩერების თაობაზე.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

თუ აღნიშნული სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების პერიოდში განმცხადებელი იურიდიული პირის მიერ მითითებული სულ მცირე ერთი ფიზიკური პირი (ფირმაში გარიგების პარტნიორის სტატუსით დასაქმებით დაინტერესებული) დარეგისტრირდება აუდიტორების რეესტრში, სამსახური იღებს გადაწყვეტილებას იურიდიული პირისათვის სარეგისტრაციო წარმოების განახლების შესახებ. თუ აღნიშნულმა ფიზიკურმა პირმა არ მიუთითა განმცხადებელი იურიდიული პირი თავის დამსაქმებლად ან არ/ვერ დარეგისტრირდა აუდიტორების რეესტრში, განმცხადებელი იურიდიული პირის მიმართ სარეგისტრაციო წარმოება წყდება.

6. სარეგისტრაციო წარმოებისას, კანონის მე-12 მუხლის მე-8 პუნქტის„ა“ ქვეპუნქტით მოთხოვნათა შესაბამისად, რეგისტრაციით დაინტერესებული იურიდიული პირის სარეგისტრაციო განაცხადში, აუდიტორული ფირმის სამართლებრივი ფორმის, დასახელების და მისამართის შესახებ ინფორმაციას სამსახური ამუშავებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზაში (ოფიციალურ ვებგვერდზე www.rs.ge) არსებული ინფორმაციის შესაბამისად.

მუხლი 10. სარეგისტრაციო წარმოების შეჩერება და შეწყვეტა

1. სამსახური უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ, თუ:

ა) განცხადებას არ ერთვის ან/და არასრულად არის წარმოდგენილი ამ წესით, კანონითა და მის საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტებით განსაზღვრული დოკუმენტი ან/და ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია განცხადებით მოთხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად;

ბ) წარმოდგენილია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული აქტი, რომელიც ითვალისწინებს სარეგისტრაციო წარმოების შეჩერებას;

გ) სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტაცია, მათი კანონიერების შესწავლის მიზნით სამსახურის მიერ გადაგზავნილია შესაბამის უწყებაში/ორგანოში;

დ) არსებობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

2. თუ განმცხადებელი სამსახურს არ წარუდგენს კანონით ან ამ წესით გათვალისწინებულ დოკუმენტს ან ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია აუდიტორის/აუდიტორული ფირმის რეგისტრაციისათვის, სარეგისტრაციო განაცხადის მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში სამსახური განმცხადებელს განუსაზღვრავს არაუმეტეს 30-დღიან ვადას, რომლის განმავლობაშიც მან დოკუმენტი ან ინფორმაცია უნდა წარუდგინოს სამსახურს. სამსახური უფლებამოსილია, განმცხადებლის მოთხოვნით, ეს ვადა გააგრძელოს მხოლოდ ერთხელ, არაუმეტეს 15 დღით. ამ პუნქტით გათვალისწინებულ პერიოდში სარეგისტრაციო წარმოება ჩერდება.

3. სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების პერიოდში სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში სამსახური იღებს გადაწყვეტილებას სარეგისტრაციო წარმოების განახლების შესახებ. სარეგისტრაციო წარმოების განახლების შემთხვევაში სარეგისტრაციო წარმოების ვადის ათვლა ხელახლა იწყება.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

4. კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევაში შესაძლებელია, სამსახურის მიერ აუდიტორისთვის/აუდიტორული ფირმისთვის/გარიგების პარტნიორისთვის აუდიტის ჩატარების ან/და აუდიტორულ დასკვნაზე ხელის მოწერის განხორციელების დროებით, არაუმეტეს 3 წლით აკრძალვა.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, სამსახური იღებს გადაწყვეტილებას აუდიტორისთვის/აუდიტორული ფირმისთვის/გარიგების პარტნიორისთვის აუდიტის ჩატარების ან/და აუდიტორულ დასკვნაზე ხელის მოწერის განხორციელების უფლების აღდგენის თაობაზე.

6. სამსახური უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება რეგისტრაციაზე უარის თქმისა და სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ:

ა) სარეგისტრაციო წარმოების განმავლობაში განმცხადებელმა ან მისმა საამისოდ უფლებამოსილმა პირმა მოითხოვა სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტა;

ბ) ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვადაში არ იქნა წარმოდგენილი სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი ინფორმაცია ან დოკუმენტი;

გ) სარეგისტრაციო განაცხადზე თანდართული დოკუმენტაცია გამოცემული, მიღებული ან შედგენილია არაუფლებამოსილი პირის მიერ;

დ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, ცნობილი გახდა სარეგისტრაციო განაცხადზე თანდართული დოკუმენტის გაუქმების ფაქტი;

ე) წარმოდგენილია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული აქტი, რომელიც ითვალისწინებს სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტას;

ვ) დადგენილ ვადაში არ არის წარმოდგენილი ამ წესით განსაზღვრული, პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ზ) ამ წესის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის,,გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სამსახურის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში.

თ) არსებობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

7. სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების და შეწყვეტის თაობაზე სამსახურის უფროსის მიერ გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც სამსახურის მიერ ეგზავნება დაინტერესებულ პირს სამსახურის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2 დღის ვადაში.

8. სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების და შეწყვეტის შესახებ სამსახურის გადაწყვეტილება საჩივრდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სამსახურის გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას.

მუხლი 11. აუდიტორისათვის/აუდიტორული ფირმისათვის რეგისტრაციის გაუქმება

1. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა, რომელიც არ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს ექვემდებარება რეგისტრაციის გაუქმებას და კარგავს აუდიტის ჩატარების უფლებამოსილებას. რეგისტრაციის გაუქმებისთვის პასუხისმგებელია სამსახური. რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას არა აქვს უფლება, თავის სახელწოდებაში გამოიყენოს სიტყვა „აუდიტორი“/სიტყვები „აუდიტორული ფირმა“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2. აუდიტორისათვის/აუდიტორული ფირმისათვის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ სამსახურის გადაწყვეტილება საჩივრდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სამსახურის გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას.

მუხლი 12. რეესტრში დაცული ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის, მათი დედნებისა და ასლების გამოთხოვის წესი და პირობები

1. სამსახური უფლებამოსილია წერილობითი მიმართვის საფუძველზე გასცეს რეესტრში დაცული ნებისმიერი დოკუმენტი. მართვის ავტომატური საშუალებით გაცემულ დოკუმენტს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორიც მატერიალური ფორმით გაცემულს.

2. რეესტრიდან ამონაწერი ქართულ ენაზე მზადდება.

3. ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამსახურის გადაწყვეტილება საჩივრდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 13. აუდიტორების/აუდიტორული ფირმების მიერ ინფორმაციის განახლება.

1. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია რეესტრში ასახული (მათ შორის, სარეგისტრაციო განაცხადით წარდგენილი არასაჯარო ინფორმაციის) ნებისმიერი ინფორმაციის ცვლილების შესახებ შეატყობინოს სამსახურს ცვლილების შეტანიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, გარდა ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. აუდიტორი ვალდებულია არაუგვიანეს 1 აპრილისა განაახლოს ინფორმაცია მის მიერ მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის„კ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურებებიდან, წინა წელს მიღებული შემოსავლების შესახებ.

3. აუდიტორული ფირმა ვალდებულია არაუგვიანეს 1 აპრილისა განაახლოს ინფორმაცია მის მიერ მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის„თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურებებიდან, წინა წელს მიღებული შემოსავლების და მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის„კ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია თანამშრომელთა რაოდენობის შესახებ.

4. აუდიტორის/სერტიფიცირებული ბუღალტრის განგრძობითი განათლების მიმართ დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილების თაობაზე სამსახურისთვის ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებელია პროფესიული ორგანიზაცია. თუ პროფესიული ორგანიზაციის გადაწყვეტილებით პირი აღარ აკმაყოფილებს განგრძობითი განათლების მიმართ მოთხოვნებს, პროფესიული ორგანიზაცია ვალდებულია ამ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა აცნობოს სამსახურს ამის შესახებ.

5. პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის თაობაზე დაზღვევის ხელშეკრულების დადების, შეწყვეტის ან მასში ცვლილების შეტანის თაობაზე (მათ შორის, სადაზღვევო თანხის გაზრდის ან შემცირების შესახებ) ინფორმაციას აუდიტორი/აუდიტორული ფირმა წარუდგენს სამსახურს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მუხლი 14. **გარდამავალი დებულებები**

1. ამ ბრძანების ამოქმედებამდე საქართველოში რეგისტრირებულ პროფესიულ ორგანიზაციას, რომელშიც უნდა გაწევრიანდეს აუდიტორების რეესტრში რეგისტრაციით დაინტერესებული ფიზიკური პირი, ამ წესის მე-2 მუხლის მე-9 პუნქტის„ბ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაეთვალოთ. ამ პუნქტით გათვალისწინებულმა პროფესიულმა ორგანიზაციებმა უზრუნველყონ სასერტიფიკაციო პროგრამების დადგენის, საგამოცდო პროცესის აღიარების წესისა და განგრძობითი განათლების პროგრამების აღიარების წესის შემოღებიდან, არაუგვიანეს 3 თვის ვადაში – განგრძობითი განათლების, ხოლო 6 თვის ვადაში – სერტიფიკაციისა და საგამოცდო პროცესის სამსახურის მიერ დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა და აღიარება სამსახურის მიერ. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, თუ გამოვლინდა რომ ის პროფესიული ორგანიზაცია, არ აკმაყოფილებს კანონისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებს, სერტიფიცირებული ბუღალტერი/აუდიტორი ვალდებულია გაწევრიანდეს საქართველოს სხვა პროფესიულ ორგანიზაციაში, რომელიც დააკმაყოფილებს კანონითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2. სამსახურმა ამ პუნქტით განსაზღვრული პროფესიული სერტიფიცირებისა და განგრძობითი განათლების სტანდარტი და შესაბამისი აღიარების წესი შეიმუშაოს 2017 წლის 1 აპრილამდე.

3. რეესტრში თავდაპირველი რეგისტრაციისას, პროფესიულ ორგანიზაციას, რომელშიც უნდა გაწევრიანდეს აუდიტორების რეესტრში რეგისტრაციით დაინტერესებული ფიზიკური პირი, ამ წესის მე-2 მუხლის მე-9 პუნქტის„გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაეთვალოს იმ შემთხვევაში, თუ მმართველობის ორგანოს წევრთა უმრავლესობას შეადგენდნენ კანონის 28-ე მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული პირები.

4. ამ წესის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის„დ“ ქვეპუნქტით მოთხოვნილი ინფორმაციის ასახვისას, კანონის 28-ე მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრულმა პირებმა, რომლებიც არიან საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ გაცემულ აუდიტორის სერტიფიკატის მფლობელები და რომელთა სერტიფიკატი ძალაშია 2013 წლის 1 იანვრისთვის, სამსახურს, დანართის სახით, უნდა წარუდგინონ საბჭოს სერტიფიკატის ასლი.

5. კანონის 28-ე მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრულმა პირმა, ამ წესის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის„გ“ ქვეპუნქტით წარსადგენი ინფორმაციის ნაცვლად, წარმოადგინოს წერილობითი დადასტურება, იმაზე რომ აღნიშნული პირი კანონის ამოქმედებამდე მომსახურებას ახორციელებდა დამოუკიდებლად, აუდიტორული ფირმის სახელით, აუდიტორის ან გარიგების პარტნიორის სტატუსით. აღნიშნული ინფორმაცია სამსახურისათვის წარდგენილი უნდა იქნეს არანაკლებ ერთი სუბიექტის სახელწოდების და საიდენტიფიკაციო ნომრის, აუდიტორული მომსახურების ხელშეკრულების საგნისა და პერიოდის მითითებით შემდეგი წესით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) დასაქმებულმა პროფესიულმა ბუღალტერმა წერილობითი დადასტურება მიიღოს დამსაქმებლისგან/ფირმისგან (რომელიც ამ წესის ამოქმედებამდე ახორციელებდა აუდიტორულ საქმიანობას);

ბ) საქმიანობის ინდივიდუალურად განმახორციელებელმა სერტიფიცირებულმა ბუღალტერმა სამსახურს თავად წარუდგინოს წერილობითი დასტური.

6. ამ წესის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის,,თ“ ქვეპუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია პროფესიული რეპუტაციის შესახებ (დასტური) კანონის 28-ე მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრულმა პირებთან მიმართებაში შეიძლება გაცემულ იქნეს მხოლოდ პროფესიული ორგანიზაციის მიერ შემდეგი წესის საფუძველზე:

ა) რეესტრში რეგისტრაციით დაინტერესებულ პირებზე, რომლებიც ამ ბრძანების ამოქმედებამდე ახორციელებდნენ პროფესიულ მომსახურებას და გაწევრიანებული იყვნენ პროფესიულ ორგანიზაციაში რეპუტაციის შესახებ დასტური გასცენ იმ პროფესიულმა ორგანიზაციებმა რომლის წევრიც იყო ეს პირი;

ბ) რეესტრში რეგისტრაციით დაინტერესებულმა პირებზე, რომლებიც ამ ბრძანების ამოქმედებამდე ახორციელებდნენ აუდიტორულ მომსახურებას და არ ყოფილან გაწევრიანებული პროფესიულ ორგანიზაციაში ვალდებულნი არიან რეესტრში რეგისტრაციის მიზნით იმ პროფესიულ ორგანიზაციას, რომელშიც გაწევრიანდებიან, წარუდგინონ დამსაქმებლის მიერ ან პირადად (ინდივიდუალურად განხორციელების შემთხვევაში) დადასტურებული ინფორმაცია (განცხადება) მათ მიერ ეთიკის კოდექსის დაცვის თაობაზე. ამასთან, პროფესიული ორგანიზაციები, მათ ორგანიზაციაში გაწევრიანების შესაბამისი პროცედურის საფუძველზე, სამსახურში წარსადგენ დოკუმენტში ადასტურებენ, რომ არ ფლობენ რაიმე ინფორმაციას პირის მიერ ეთიკური ნორმების დარღვევის შესახებ.

7. კანონის 28-ე მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული პირები, გათავისუფლებულნი არიან ამ წესის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის,,მ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული, პირის მიერ უკანასკნელი წლის განგრძობითი განათლების თაობაზე ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებისაგან.

8. ის აუდიტორები/აუდიტორული ფირმები, რომლებიც ამ ბრძანების ამოქმედებამდე, 2016 წლის 25 ივნისამდე პერიოდში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებდნენ აუდიტორულ მომსახურებას და დაზღვეული აქვთ პროფესიული პასუხისმგებლობა და ამასთან პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ოდენობა რეგისტრაციის მომენტისთვის შეადგენს არანაკლებ 100 000 ლარს, ვალდებულნი არიან რეესტრში რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 30 დღის ვადაში, ამ ბრძანების ამოქმედებამდე დადებულ დაზღვევის ხელშეკრულებებში განახორციელონ შესაბამისი ცვლილებები ან წარადგინონ ახალი სადაზღვევო ხელშეკრულებები, სამსახურის უფროსის მიერ დადგენილი წესების დაცვით. ამ პუნქტით დადგენილ ვადაში, აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ სამსახურისათვის განახლებული სადაზღვევო ხელშეკრულების წარუდგენლობის შემთხვევაში, აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ექვემდებარება რეგისტრაციის გაუქმებას და კარგავს აუდიტის ჩატარების უფლებამოსილებას.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი №2

აუდიტორების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციით დაინტერესებულ ფიზიკურ პირთა სარეგისტრაციო განაცხადი

1. ზოგადი ინფორმაცია

სურათი

სარეგისტრაციო ნომერი

განაცხადის სტატუსი

ვარ არარეზიდენტი

პირადი ნომერი

სახელი

გვარი

სახელი (ინგლისურად)

გვარი (ინგლისურად)

იურიდიული მისამართი

ფაქტობრივი მისამართი

კანონის 28-ე მუხლის მე-13 პუნქტის მიხედვით განსაზღვრული პირი

საკონტაქტო ნომერი (მობილური)

საკონტაქტო ნომერი (სხვა)

ვახორციელებ საქმიანობას ინდივიდუალურად

ვებგვერდი

2. სამუშაო ადგილი - აუდ. ფირმა/ინდ. აუდიტორთან

სამუშაო ადგილი	დამსაქმებლის ს/ნ ან პ/ნ	სამართლებრივი ფორმა	დამსაქმებლის სახელწოდება/ სახელი, გვარი	დამსაქმებლის იურიდიული მისამართი	დამსაქმებლის ვებგვერდი	თანამდებობა	მუშაობის დაწ. თარიღი	მუშაობის დას. თარიღი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

3. მონაწილეობა აუდ. გარიგებებში

დამსაქმებლის სახელწოდება/ სახელი, გვარი	აუდიტირებული პერიოდი	სუბიექტის სახელწოდება	სუბიექტის ს/ნ	აუდიტის დაწ. თარიღი	აუდიტის დასრ. თარიღი	ხანგრძლივობა	ზედ. აუდიტორის სახელი, გვარი	ზედ. აუდიტორის პ/ნ
					ჯამი:			

4. პროფესიული სერტიფიცირება

ორგანიზაციის ს/ნ	ორგ. სახელწოდება	ორგ. ვებ-გვერდი	დოკუმენტის სახელწოდება	დოკუმენტის ნომერი	დოკ. გაცემის თარიღი	დოკ. მოქმედების ვადა	ბმული

5. მფლობელობა ან სხვა კავშირი აუდიტორულ ფირმასთან

აუდ. ფირმის სამ. ფორმა	აუდ. ფირმის სახელწოდება	აუდ. ფირმის ს/ნ	მმართ. ორგანოში წევრ. ფორმა	სხვა კავ. აუდ. ფირმასთან (ბასს 24-ის მიხედვით)

6. სხვა ქვეყანაში აუდიტორად რეგისტრაცია

ქვეყანა	მარ. ორგანოს სახელწოდება	მარ. ორგანოს ვებ-გვერდი	აუდიტორად რეგისტრაციის თარიღი	აუდ. სარეგ. ნომერი	რეგისტრაციით მინიჭებული სტატუსი	ბმული

7. წევრობა პროფესიულ ორგანიზაციაში

პროფ. ორგანიზაციის ს/ნ	პროფ. ორგ. სახელწოდება	პროფ. ორგ. ვებ-გვერდი	გაწევრიანების თარიღი	რეგ. ნომერი	მონაწ. მმართ. ორგანოში

8. პროფესიული რეპუტაციის დასტური

პროფ. ორგ. სახელწოდება	ზედ. აუდ. სახელი, გვარი	ზედ. აუდ. პ/ნ

9. პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა (მხოლოდ ინდ. აუდიტორებისთვის)

სადაზღვევო კომპანია	პერიოდის დასაწყისი	პერიოდის დასასრული	თანხა (ლარი)

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

10. **პროფესიული (არადაქირავებული) საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი (ლარი)**

შემოსავლის წყარო	2013	2014	2015
ფინანსური ანგარიშგების აუდიტიდან			
სხვა აუდიტორული საქმიანობიდან			
საბუღალტრო მომსახურებიდან			
საგადასახადო მომსახურებიდან			
ფინანსური მენეჯმენტის სფეროში გაწეული მომსახურებიდან			
ფინანსურ მონიტორინგს დაქვემდებარებული მომსახურებებიდან			
სხვა მსგავსი ბიზნესსაკონსულტაციო მომსახურებიდან			
ჯამი:			

11. **ცნობა ნასამართლეობის შესახებ**

12. **განგრძობითი განათლება**

თანდართული დოკუმენტების გვერდების რაოდენობა.	

ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის სისრულეს და სისწორეს

განმცხადებლის სახელი, გვარი _____
განმცხადებლის ხელმოწერა _____

ჩავიბარე განაცხადი და დანართები მითითებული გვერდების რაოდენობით, რასაც ვადასტურებ ხელმოწერით.

თარიღი _____
სახელი, გვარი _____
ხელმოწერა _____

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დანართი №3

აუდიტორული (აუდიტური) ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციით დაინტერესებულ იურიდიულ პირთა სარეგისტრაციო განაცხადი

1. ზოგადი ინფორმაცია

ლოგო

სარეგისტრაციო ნომერი

განაცხადის სტატუსი

სამართლებრივი ფორმა

სახელწოდება

სახელწოდება (ინგლისურად)

იურიდიული მისამართი

ფაქტობრივი მისამართი

საკონტაქტო ნომერი (ძირითადი)

საკონტაქტო ნომერი (სხვა)

ფირმის ვებგვერდი

2. ფირმაში დასაქმებული აუდიტორები

პირადი ნომერი	სახელი, გვარი	თანამდებობა	გარიგების პარტნიორი	კავშირი ფირმასთან

3. ფირმაში დასაქმებული სხვა სერტიფიცირებული ბუღალტრები (გარდა აუდიტორებისა)

პირადი ნომერი	სახელი, გვარი	თანამდებობა	კავშირი ფირმასთან	პროფ. ორგანიზაციის ს/ნ	პროფ. ორგ. სახელწოდება	რეგისტრაციის ნომერი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

4. მმართველობითი ორგანოს წევრები

პირადი ნომერი	სახელი, გვარი	მმართველობით ორგანოში წევრობის ფორმა	არის რეგ. აუდიტორი (კი/არა)

5. პარტნიორების/აქციონერების წილობრივი მონაწილეობა/ხმების უფლება და სხვა დაკავშირებული მხარეები

კავშირი	პ/ნ ან ს/ნ	სახელწოდება/ სახელი, გვარი	იურიდიული მისამართი	ხმის უფლება	წილობრივი მონაწილეობა	კავშირის ფორმა

6. პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა

სადაზღვევო კომპანია	პერიოდის დასაწყისი	პერიოდის დასასრული	თანხა (ლარი)

7. საერთაშორისო ქსელში წევრობა

ქსელის ვებგვერდი

8. აუდიტორული და პროფესიული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები (ბოლო 3 წლის მიხედვით) (ლარი)

შემოსავლის წყარო	2013	2014	2015
ფინანსური ანგარიშგების აუდიტიდან			
სხვა აუდიტორული საქმიანობიდან			
საბუღალტრო მომსახურებიდან			
საგადასახადო მომსახურებიდან			
ფინანსური მენეჯმენტის სფეროში გაწეული მომსახურებიდან			
ფინანსურ მონიტორინგს დაქვემდებარებული მომსახურებებიდან			
სხვა მსგავსი ბიზნესსაკონსულტაციო მომსახურებიდან			
ჯამი:			

9. ფირმაში დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა

დასაქმების სფერო	რაოდენობა
სულ	

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

10. საკონტაქტო ინფორმაცია

უფლებამოსილი პირი	პირადი ნომერი	სახელი, გვარი	საკონტაქტო ნომერი	ელფოსტა

11. უცხო ქვეყნის აუდიტორული ფირმების რეესტრში რეგისტრაცია

მარეგისტრირებელი ორგანო	რეგისტრაციის ნომერი	მარ. ორგანოს ვებგვერდი

თანდართული დოკუმენტების გვერდების რაოდენობა.	

ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის სისრულეს და სისწორეს

განაცხადის შევსებაზე და განახლებაზე პასუხისმგებელი პირის

სახელი,გვარი _____
ხელმოწერა _____

ჩავიბარე განაცხადი და დანართები მითითებული გვერდების რაოდენობით, რასაც ვადასტურებ ხელმოწერით.

თარიღი _____
სახელი, გვარი _____
ხელმოწერა _____

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის

ბრძანება №18

2016 წლის 28 ოქტომბერი, ქ. თბილისი

,,აუდიტორის/აუდიტორული (აუდიტური) ფირმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის არსებითი პირობების და სადაზღვევო თანხის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 17 ოქტომბრის №12 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

,,აუდიტორის/აუდიტორული (აუდიტური) ფირმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის არსებითი პირობების და სადაზღვევო თანხის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 17 ოქტომბრის №12 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 17/10/2016წ., სარეგისტრაციო კოდი: 290040000.64.076.016002) დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს ცვლილება და ამოღებულ იქნეს მე-3 მუხლი.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2016 წლის 1 ნოემბრიდან.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის

ზედამხედველობის სამსახურის უფროსი

იური დოლიძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

komentarebi/manualebi

იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების სარემონტო ხარჯის საგადასახადო აღრიცხვა

საწარმოს მიერ იჯარით აღებულ ძირითად საშუალებაზე გაწეული რემონტის ხარჯი (მ.შ. მიმდინარე რემონტის ხარჯი) ერთობლივი შემოსავლიდან პირდაპირ გამოქვითვას არ ექვემდებარება. იჯარით აღებული ძირითადი საშუალებათა რემონტის ხარჯები ექვემდებარებიან მოიჯარესთან კაპიტალიზებას და ქმნიან ცალკე ჯგუფს, რომლის საამორტიზაციო ნორმა შეადგენს 15%-ს. იმ შემთხვევაშიც კი, როცა საწარმო იყენებს საამორტიზაციო ანარიცხების სრულად გამოქვითვის მეთოდს(საგ.კოდ. §112), იჯარით აღებულ უძრავ ქონებაზე გაწეული ხარჯი პირდაპირ (სრულად) არ გამოიქვითება (საგ.კოდ. §115.4. (**მანუალი N0803**).

მაგალითი N1:

შპს „პურის საცხობმა“ (შემდეგში - საწარმო), რომელმაც ეკონომიკური საქმიანობა დაიწყო 2014 წელს და რომელიც იყენებს საამორტიზაციო ანარიცხების სრულად (100%-იანი) გამოქვითვის მეთოდს (საგ.კოდ. §112), სს „უძრავი ქონებისაგან“ (შემდეგში - მეიჯარე) 2014 წლის 15 მაისიდან იჯარით აღებულ ფართში განახორციელა 7 000 ლარის ღირებულების სარემონტო სამუშაოები. ამასთან საწარმოს მიერ იჯარით აღებულ უძრავ ქონებაზე გაწეულ სარემონტო ხარჯს საიჯარო ქირაზე (რომელიც განისაზღვრა ყოველთვიურად 850 ლარის ოდენობით) გავლენა არ მოუხდენია.

*მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ საწარმო იყენებს საამორტიზაციო ანარიცხების სრულად (100%-იანი) გამოქვითვის მეთოდს (საგ.კოდ. §112), ის 2014 წელს ვერ მოახდენს სარემონტო ხარჯის სრულად გამოქვითვას. საწარმომ უნდა მოახდინოს სარემონტო ხარჯის კაპიტალიზება (დასვას შესაბამისი აქტივის მუხლი ბალანსზე - „2190 - იჯარით აღებული შენობა-ნაგებობის კეთილმოწყობა“) და 2014 წელს ერთობლივი შემოსავლიდან ამორტიზაციის სახით გამოიქვითოს მხოლოდ 1050 ლარი (7000 ლარი * 15%).*

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

იმ შემთხვევაში, როცა იჯარით აღებულ ძირითად საშუალებაზე გაწეული რემონტის ხარჯის შესაბამისად ხდება საიჯარო ქირის შემცირება, ძირითადი საშუალების რემონტი წარმოადგენს მოიჯარის მიერ მეიჯარისთვის გაწეულ სარემონტო მომსახურებას და ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას. მოგების გადასახადის კუთხით კი, შესაბამისი თანხა ექვემდებარება ერთობლივ შემოსავალში ჩართვას, ხოლო გაწეული რემონტის ხარჯი სრულად (პირდაპირ) გამოქვითვას.

***მაგალითი** N2:*

საცალო ვაჭრობის ქსელმა „ახალი პროდუქტმა“ (შემდეგში - საწარმო) ფ/პ ნოდარ სახვაძისაგან (შემდეგში - მეიჯარე) 2014 წლის 1 მარტს 2 წლის ვადით იქირავა 500 კვ.მ. კომერციული ფართი. თვიური საიჯარო ქირა განისაზღვრა 2500 ლარის ოდენობით. მხარეები შეთანხმდნენ, რომ პირველი 5 თვის საიჯარო ქირა იქნებოდა 2000 ლარი (500-500 ლარით ნაკლები), რადგან საწარმოს იჯარით აღებულ ფართში უნდა ჩაეტარებინა 1950 ლარის (დღგ-ს გარეშე) სარემონტო საშუალებები. საწარმომ საიჯარო ფართის რემონტი განახორციელა 2014 წლის მარტის თვეში.

*მოცემულ შემთხვევაში, საწარმოს მიერ მეიჯარისთვის 2014 წლის მარტის თვეში მოხდა სარემონტო მომსახურების გაწევა, რომლის ღირებულებაც (დღგ-ს ჩათვლით) განისაზღვრება 5 თვის ფასდაკლების თანხის 2500 ლარის (= 500ლარი * 5) ოდენობით. საწარმოს მიერ 2014 წლის მარტის თვეში ბიუჯეტში გადასახდელი დღგ შეადგენს 381,36 ლარს (=2500 ლარი *18% / 118%). მოგების გადასახადის კუთხით 2014 წელს ერთობლივ შემოსავალში ასახვას ექვემდებარება 2118,64 ლარი (= 2500 ლარი - 381,36 ლარი), ხოლო გამოქვითვებში ჩართვას - 1950 ლარი (რემონტის ხარჯი სრულად).*

შესაბამისად მოცემულ შემთხვევაში სარემონტო ხარჯი კაპიტალიზებას არ ექვემდებარება და ცალკე საამორტიზაციო ჯგუფი არ შეიქმნება.

ძირითადი საშუალების მეიჯარესთვის დაბრუნებისას (ვადამდე ან ვადის გასვლის შემდეგ) ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი უნდა განულდეს, თუმცა დარჩენილი თანხა (ის თანხა რაც დაექვემდებარა განულებას) გამოქვითვებში ჩართვას არ ექვემდებარება. ამასთან ხსენებული ოპერაცია მოგების გადასახადის კუთხით არ ითვლება მიწოდებად ან/და მომსახურების გაწევად, შესაბამისად ერთობლივ შემოსავალში რაიმე სახის თანხა ასახვას არ ექვემდებარება (საგ.კოდ. §115.5.). დღგ-ს კუთხით, კი ძირითადი საშუალების მეიჯარისთვის დაბრუნება განიხილება დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციად, რა დროსაც, დასაბეგრი ოპერაციის თანხა ტოლია იმ ნარჩენი თანხის, რომლის გამოკლებითაც ჯგუფის ღირებულებითი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბალანსი ნულდება, ხოლო დასაბეგრი ოპერაციის დროდ ითვლება იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლის ან ვადაზე ადრე შეწყვეტის მომენტი.

მაგალითი *N3:*

ხორცპროდუქტების კომპანიამ - შპს „ბეკონმა“ (შემდეგში - საწარმო) სს „უძრავი ქონებისაგან“ 2013 წლის 1 მარტიდან იჯარით აიღო 750კვ.მ. ფართი წარმოების მოსაწყობად. 2013 წლის მარტის თვეში საწარმოს მიერ იჯარით არებულ ფართზე ჩატარებულმა სარემონტო სამუშაოებმა შეადგინა 21 000 ლარი (დღგ-ს გარეშე). ამასთან სარემონტო სამუშაოების ჩატარებას საიჯარო ქირაზე გავლენა არ მოუხდენია. 2014 წლის 30 მაისს საწარმომ ვადამდე ადრე შეწყვიტა საიჯარო ხელშეკრულება და იჯარის საგანი დაუბრუნა მეიჯარეს.

*მოცემულ შემთხვევაში, საწარმოს მიერ 2013 წელს უნდა მოხდეს სარემონტო ხარჯის კაპიტალიზება და ცალკე საამორტიზაციო ჯგუფად აღიცხვა. 2013 წელს გამოქვითვებში ჩართვას ექვემდებარება 3150 ლარი (= 21 000 ლარი *15%). 2014 წლის მაისის თვეში დღგ-ით დაბეგვრას დაექვემდებარება 17 850 ლარი (= 21 000 ლარი - 3 150 ლარი), შესაბამისად ბიუჯეტში გადასახდელი დღგ იქნება 3 213 ლარი. მოგების გადასახადის კუთხით კი, 2014 წელს არც ერთობლივ შემოსავალსა და არც გამოქვითვებში რაიმე თანხა ჩართვას არ ექვემდებარება. ამასთან ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი, რომელიც იჯარის შეწყვეტის მომენტში შეადგენდა 17 850 ლარს ექვემდებარება განულებას (აღნიშნულ ჯგუფს 2014 წლის მოგების გადასახადის გაანგარიშების კუთხით ამორტიზაცია არ დაერიცხება).*

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გამოიწერეთ
გადასახადები

მეწარმეების, საშაღასახაღო ინსპექტორების, აუდიტორების, ბულალტრებისა და ყველა მაღამხღელის უნივერსალური საშამიღო ჟურნალი

ჩვენი რეკვიზიტებია:

მიმღები: შპს ბიზნეს ინტელექტი
მიმღების IBAN ანგარიშის №:
GE21BR0000010893437601

მიმღების მანკი: ს.ს. ბანკი "რესპუბლიკა"
ბანკის BIC კოდი: REPLGE22

2012.gadasaxadebi@gmail.com

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com